

Здоровье

Region

№32
2019 მაისი

საოჯახო ფირმა ასკურავა

მკურნალი ბიჭიკო ასკურავა სწრაფად, ეფექტურად, ქირურგიული ჩარევისა და თაბაშირის გარეშე, კურნავს ნებისმიერი სახის მოტეხილობას, ამოვარდნილობას, მენისკს, ოსტეოქონდროზს და ძვლის სხვა დაავადებებს. მალამოს შემადგენლობა საოჯახო საიდუმლოა და თაობიდან თაობებს გადაეცემა საუკუნეების მანძილზე. მკურნალობა სამჯერ უფრო სწრაფი და ეფექტურია, ვიდრე ქირურგიული ჩარევის დროს...

ასკურავას ფირმა ცნობილია არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ. მიღება ყოველდღე 12-17 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.



Семейная фирма Аскурава

Семейная фирма Аскурава является хранителем древнего метода лечения на протяжении уже двух с половиной веков. Методом Аскурава, без хирургического вмешательства эффективно и безболезненно лечат переломы любых видов, вывихи, мениски, остеохондроз, артросс и другие заболевания костей.

Фамильная „тайна“ и по сей день остается тайной и аналогов не существует во всем мире.

Сегодня фирмой руководит Лаурнат Ордела Чести Грузии, Академик Национальной Академии, Лауреат Всероссийского Выставочного Центра, Член Академии Народной Медицины Китая-Израиля-Америки Профессор Бичио Аскурава.

Эффективность метода Аскурава теперь уже известна во многих странах, где открыты филиалы фирмы. Убедившись в эффективности метода многие ортопеды мира считают, что при некоторых видах травм он в 2-3 раза превосходит хирургический метод лечения.

The family firm Askurava

Quickly, effective and painless treatment without surgery or casts of all types of fractures, dislocation meniscus, osteochondrosis and other bone disorders with an ointment, the formula for which is a family secret, passed on form generation for two and half centuries.

The treatment is known throughout in Georgia and in other countries the firm has its clinic Mr. Askurava, professor the head of firm, activ member of the Chinese, Israel, American Academy of Sciences.

Consultation: every day, except Saturday and Sunday from 12PM till 5PM

შალვა ძეგლაძის ნახატები



შალვა

ჯანყი გურიაში

ყველა ბრუნდი და მართალი,
აულიათ იარაღი,
შიშვლად აქვენ ხელში ხმალი,
ვისაც არ აქვს იარაღი,
აულიათ თოხის ტარი,
ერთმანეთს ეუბნებინ,
ამოვილოთ გულის ჯავრი,
ჩვენს მოდაურსა ვეჩხუბოთ,
აუღულოთ სისხლის ტვარი,
ღმერთმა ისეთ ღროს მოგვასწროს,
ამოგველოს მისი ჯავრი,
თხოვნას ღმერთი აგვისრულებს,
გამარჯვებს ჩვენი ჯარი.


ეგნატე ნინოშვილი



შალვა



შალვა



შალვა



შალვა

ტროპიკულ ტყეებში



ანრი რუსო (1844-1910).

თვითნასწავლი ფრანგი მხატვარი.

ალიარება შპოვა პოსტ-იმპრესიონისტების
დახმარებით. სურათი – ტროპიკულ ტყეში

დათარიღებულია 1908 წლით.

მსხვერპლი მონადირეს გაექცეს ეგება,
მაგრამ ბედისწერას ვერსად გაექცევა;
იგი ფეხმარდია, უძალ დაეწევა
და რაც უწერია, მაინც მიეგება.

ხარი დამფრთხალია სახარულ ღრიალით;
საშველი ერთია – ახლოა ჭაობი.
მიდის, გზას მიიკვლევს ფრთხილი

მომრაობით,

ფესდაფეს ფოთლების მიჭეუება შრიალი.

ნაბიჯი – შეცდომა გვიან მისახვდომი;
ღერწამი შესებით ოდნავ გარსეული

და უცებ ბაღასის ფარდა შესეული
ვეფხვის უსუსტესი, მოქნილი ნახტომით.

მუსლზე წაჩოქილი ჰირსტევის ბლავილით
იძლება ლელქაში, კრთება ლელიანი
და ტოტს ევინება მაღალეულიანი
ღერწაწვრილი მცენარის წითელი უვავილი.

მსხვერპლი მონადირეს გაექცეს ეგება,
მაგრამ ბედისწერას ვერსად გაექცევა;
იგი ფეხმარდია, უძალ დაეწევა
და რაც უწერია, მაინც მიეგება.

მამუაა სალუქვაძე

სარჩევი

შვიდი დღე შესაქმისა	2-3	საერთაშორისო ჯონგრესზე ნიუ-ორკში ათი წლის წინ.. ..	18-19
ვასილ ჯარბელაშვილის არქივი	4-5	ნაბელღავი	20-23
ქართული მინა-წყლის გაერთიანებაი	6-8	ჯერ სიტყვა, მერე საქმე.. ..	24-25
ხეები ზეზეურად ჯვდებიან	9-11	დაუსწრებელი სიყვარული	26
„შურსა და ცილზე ამაღლოებული.. ..“	12-13	გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები	27-28
აღსარება	14	ჯურღღეღზე უფრო ეშმაჯი ჯატი	29-30
ეპიზოდები ჰავლე ინგოროყვას ცხოვრებიდან	15-17	ანეჯდოტები	32



მთავარი რედაქტორი და გამომცემელი

ლელა სურმავა

ტელ: 558 25 65 50

ელფოსტა: Guriaregion14@mail.ru;
lelasurmava@mail.ru

კვირჯასო კიტიხველეზო!

მოგვანოდეთ პუბლიკაციები, მოთხრობები,
ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ
თქვენი პრობლემები და მოგვიყევით საინტერესო ამბები.
გაითვალისწინეთ, ჟურნალში განთავსება ფასიანია.

ჟურნალი თავისუფალი ჰრასის ჰრინცივით ხელმძღვანელოჯს.

რედაქციიში ზამოსული მასალაის სიუხტაზა ჰასუხს აზაბს აზბორი,
ხოლო სარეაქტამო ტაქსტა ჰასუხისმგებლოზა რეაქტამის ზამაჯეთს ეაისრეაზა.

შვიდი დღე შესაქმისა

მამუკას ჰქონდა საოცარი ფანტაზია. იყო წინააღმდეგობებთან შეურიგებელი, დიდი ტკივილების მატარებელი, ხანდახან სევდიანი, მაგრამ სიცოცხლის მოყვარული, მუდამ ახლის მიძებნელი და მაინც ძველის მოტრფიალე. თბილი, ალერსიანი, ყურადღებიანი, ბავშვობაში დიდობდა თურმე, ორმოცი წლის ასაკში, კი, ბევრი რამ შემორჩა ბავშვური, თუნდაც გულუბრყვილობა, ჩვეულებრივ საუბარშიც კი სიტყვას სიტყვასთან რითმავდა, პოეზიით ცხოვრობდა, ზოგჯერ მგონია, მისთვის იყო გაჩენილი და მისი ხვედრი იყო... მამუკასთან ურთიერთობა იოლიც იყო და რთულიც!.. უყვარდა ადამიანი და მასში მხოლოდ კარგს ხედავდა... **შვიდი დღე შესაქმისა** – ბოლო ნაწილია მისი ოცნების, ნატვრის, იქნებ მოვალეობისაც – ბოლომდე გაელექსა ბიბლია. წიგნი ცნობილი გერმანელი მხატვრის, იულიუს კაროლსფელდის გრაფიურებით გააფორმა...

დოდო იაშვილი

დღე ჰირველი შესაქმისა

თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი რამეთუ იყო ღმრთისა თანა, თვით იყო ღმერთი; კვალად შეიქმნა ყოველივე წესით და რიგით, თვინიერ მისა არა იქმნა, არცა რა ერთი. ოდეს წყვდიადით ჩარაზული კარი გაიღო, ოდეს დღე-ღამე გაიმიჯნა, ანუ გაიყო, ნათელის სახით ზეცამ მადლი უხვად გაიღო, მზე გამობრწყინდა დიდებული და დღე პირველი იყო მართლაცდა საოცარი და საკვირველი.



დღე მეორე შესაქმისა

და თქუა უფალმა: ვით სამყარო წყალშორის მყოფი, იყავ მარადის შუამლობი და წყალთა მყოფი, და რა შეირყნენ ცათამბჯენნი, ვარსკვლავთა ბჭენი, ქვეყანას შუქი მოველინა, ყოვლისა მჩენი; უმაღვე იქმნენ ოკეანენი, ტბანი და ზღვანი, ტბორნი, ჭაობნი, მდინარენი და წყალნი სხვანი. და ყოველივე იქმნა, რაიც უფალს ენება და ზეცის თალზე დღემ მეორემ იწყო თენება.

დღე მესამე შესაქმისა

სამყაროს მყარი ზედაპირი იძრა, შეირყა, თითქოს და უფლის უხილავი შეეხო ხელი, ფარდა ღამისა აშრილდა, შეკრთა, შეირხა და წყალთა შუა აღმოცენდა, გამოჩნდა ხმელი. და რა იხილა, ღმერთმა ხმელეთს სახელი მისცა, ცა ცად შერაცხა, ხმელეთი კი შერაცხა მიწად, და ოდეს იგი, ზეცით ნათელს გარდმოადენდა, დედამინაზე დღე მესამე დადგა, გათენდა. რა განიდევნა ცის თალიდან ღამის წყვდიადი, აქა-იქ შერჩა ნაპრალებში შუქი კეთილი, იქნა რიჟრაჟი, მშვენიერი და განთიადი, ღამის საკანში შემწყვედული, გამოკეტილი.



დღე მეოთხე შესაქმისა

და შექმნა ღმერთმა ცის ტატნობი, დღეთა მათ შინა, განაბრწყინა და განანათლა ცის კაბადონი, ღამის წიაღში სამკაული აღმოაჩინა, და უაღრესად კმაყოფილი იქმნა ბატონი. და თქუა უფალმა: სამკაულნი ესე ცისანი დაე, მარადის კაშკაშებდნენ წყვდიადში მყოფი.



მცენარეული, ბოსტნეული, ხილი, მწვანელი. შეკრთა ცის კარი, დილამ მშვიდად იწყო თენება, და დადგა ქვეყნად დღე მეხუთე, ვით ღმერთს ენება.

დღე მეექვსე შესაქმისა

განაცხადა და შექმნა ღმერთმა ყოველი ცხადად, და იწყო წყარომ ცხოვრებისამ დაღმა დინება, და შექმნა კაცი სახედ თვისა და თვისა ხატად ვითარც თავიდან განიზრახა ანუ ინება. შეასხა ხორცი და შთაბერა ცხოველი სული, ნება ყოველი აღასრულა ადამის ძეთა, შეიყვარა და მიანიჭა უფლება სრული, რომ ებატონა კაცსა კეთილს ყოველსა ზედა. და იქმნა კაცი მბრძანებელი მიწის და ცისა, და ყოველივეს ქვეყანაზე, რაც კი რამ იყო,

რომ განანათლოს იგი მოგვნი და გულთმისანი, ნათელმხილველნი მომავლისა, წინასწარმტყობნი, რათა ყოველი აღირიცხოს, ვითა წესია, დღე, თვე, წელი და საუკუნე, ანმყო, მყოფადი; იცოდეს კაცმა, ოდეს მოვა იგი მესია, თავად ვარსკვლავი, ვარსკვლავისა თანაშობადი, და ჰყო უფალმა დღე და ღამე შემდგომად ამის მზე დღის მბრძანებლად, ხოლო მთვარე მეუფედ ღამის.

დღე მეხუთე შესაქმისა

და შექმნა ღმერთმა, შემოქმედმა არსი ყოველი, და გაჰყო მრავლად, განამრავლა, დაჰყო მრავალი, ვითა მცენარე ქვეყნიური, ისე ცხოველი, მწერი და თევზი,



ფრინველი და ქვეწარმავალი. ოდეს ნაპრალებს შეეპარათ მკრთალი ნათელი, იხილა ღმერთმა ყოველივე მის მიერ ქმნილი, კვალად აკურთხა, და დალოცა ქვეყანა მთელი,

ჰქონდა რიდი და მოკრძალება ადამის ძისა, ვითა მორჩილად აღიარა, ერთხმად მიიღო. და ყოველივე, რაც რამ მოხდა, გავიდა, გახდა, და დღე მეექვსე შესაქმისა ამგვარი გახლდათ.

დღე მეშვიდე შესაქმისა

ვით აღასრულა შემოქმედმა თვისი ქმნილება, სრულყო სამყარო ათასგვარი სახით და ფერით, კვალად შეიგრძნო უდიდესი კმაყოფილება გალობით ტკბილით, ქერუბინთა ჩუმი სიმღერით. და რა იხილა ყოველივე ქმნილი მის მიერ, განცხრომასა და ნეტარებას მიეცა იგი, შეიყვარა და სიხარულით აღივსო ძლიერ, და კაცს უბოძა ყოველივე, წესით და რიგით. ექვსი დღე ჰქმნიდა, მეშვიდე დღეს ბოლოს დაცხრა და ეს დღე საუფლოდ ანუ უქმად გამოაცხადა. და რა გათენდა შესაქმისა მეშვიდე დილა განისვენა და დაღალული მიექცა ძილად.



შანიდ ქაჩაელაშვილის აჩქიჟი

ვასილ კარბელაშვილის სიტყვა ილია ჭავჭავაძის დასაფლავებაზე

ავტოგრაფი შავი
1907წ. 8 ოქტომბერი 9 ფ.

...მრავალნი წოდებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ...

ველოდე მაცხოვრებისა შენისა უფალო

და მცნებათა შენთა ვესევდი მე

(ფსალმუნი 118, 166)



მოუძღურდა მოსეს შჯული, რომ ასე ღალადებდა დავით მეფე და წინასწარმეტყველი, მადლი და დიდება, მაშასადამე სულიერად კაცის ამაღლება, მისი განმტკიცება შეუძლებელი იყო, სიბნელე და მსხნელი კი არავინ ეგულვებოდა. მოსეს სჯული ვერ გამოიხსნიდა მას იმ ტანჯვათაგან, იმიტომ შეჰღალადებდა, – **ვცოდე მაცხოვრებასა შენსაო.**

თუმცა შჯული მოსესაგან მიეცა, მაგრამ მადლი და დიდება ქრისტე იესოს მიერ იქმნა (იოან. 1, იდ. 1). რომ თვით ქრისტე იყო (არს და იქმნება) ნათელი ქეშმარიტება, გზა, ცხოვრება და ნათელი სოფლისა. ქრისტეს შჯულისა მადლი თან დაჰყვა, ხოლო მოსეს სჯულისა კი არა. ქრისტემ მოჰფინა კაცობრიობას მადლი და მადლთან ნათელი. ღვთისა დიდება კაცთა შორის სათნოება, მშვიდობა და სიყვარული! ქრისტეს მოძღვრება გვეჩივრებდა მოედო ფარისეველთა, მნიგნობართა და მოხუცებულთა მოძღვრებასა, რომელთაც უიმისოდაც დაძველებული და მძიმე შჯული ვერსად ვერ ხედავდა – სულიერად შფოთავდა.

გაისმა იესო ნაზარეტელის მოძღვრება:


მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენ. მე განგისვენოთ თქვენ. აღიღეთ უღელი ჩემი თქვენ

ზედა, ისწავლეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალი გულითა. (მათ.1.28). მთელი კაცობრიობა მას მიანყდა, უნუგეშოდ არავის გაისტუმრებდა ხოლმე, იესო დიდი ნუგეშია კაცისთვის. ის ნუგეში, რომელიც მოასვენებს მას სულიერად, აღამაღლებს, აღაფრთოვანებს და განამტკიცებს საბრძოლველად იმ ბოროტი ძალისა, რომელსაც უთრთოდა დავით მეფე და ხსნის არსით ელოდა. დიდი ნუგეშია სარწმუნოება, ქრისტეს მოძღვრება იმ ერისთვის, რომელსაც იგი უმაღლეს პოეზიად მიაჩნიათ დამამშვიდებლად და ამმაღლებლად სიყუარულისა ღირსა. მოძმისა-მოყუისა; შესაცნობად კაცის ბუნების დიადოვნებისა და სიმაღლისა! ამისთანა მაღალს სწავლას, უნდა გამგონე და მიმღები, ან იმისთანა გულწრფელი, როგორც ყრმა, მიუთითა მაცხოვარმა, ან იმისთანა გულჩვილი, ლობობიერი რწმენით აღჭურვილი არსება, როგორც იყო თვით იესო ნაზარეტელი, მისი თანამედროვე მეცნიერთაგან ათვალწუნებული.

დიდებულ შვილს ივერიისა, სამაგალითო მამულიშვილს თავად ილიას, დიდად ესმოდა და აფასებდა ქრისტეს მოძღვრებას, ქრისტიანულ ცხოვრებას. ჯერ კიდევ ჭაბუკი, 21 წლის ვაჟკაცი, დიდად იმედობს ცხოვრებაზედ, რომელსაც წინ ნაუძღვარებია ქრისტეს მაღალი მცნება და დიდ იმედს ამყარებს მასზე, როგორც მოწმუნე ქართველი, შვილი ქართველი დედის არ მოტყუვდა ამ იმედში და არც უღალატა თავის რწმენას. ბოლომდე დიდებულად გაიტანა თავისი მისწრაფება. იდიდა სიცოცხლით, იდიდა სიკვდილით!.. თავის ნაწერებში ერთხელაც კი არ ნაუქეზებია მოყვასი – მტრის წინაშე სისხლი ეძია, ამიტომ მისი რწმენით **პატიოსანთ მტერთა შორის, ნამუსი მოციქულია.** ამგვარად შეჭურვილი ქრისტეს მოძღვრებით, რომლის საფუძველი დედის კერასთან გულს დაინერგა, 26 წლის ვაჟკაცი ასე წერს და ლოცულობს. აქ ლოცვა თვისის ერის ბუნებისა, ისტორიული ჭირ-ვარამისა და სარწმუნოებისა, განსაკუთრებით ქართლოსიანთათვის, დიდად აფასებდა ქრისტეს მოძღვრებას, რომელმაც მოუხვეჭა სახელი და დიდება. მის სიტყვას, მის რჩევას, ყველა დაკვირვებით უცქერდა, ყურს უგდებდა და შესთხოვდა მას – ერი, ბერი, მღუდელი, მდიდარი და გლახაკი!

მზად იყო ილია ყველასთვის და ძნელად რომ უარი ეთქვა ვისთვისმე!..

ამისთვის იყო იგი მესვეური და მეთაური დიდსულოვანი საქართველოში. ეჭვის თვალთ უცქერდა, რომ მის მადლიან სიტყვა-კაზმულობას ჯეროვანი ნაყოფი არ გამოელო. არ მოტყუვდა. მისი ნაწარმოებები საშვი-



ლოშილოდ დარჩებიან და მისი ჰარსი უკვდავია, ვიდრე ქართველები იცოცხლებენ.

აი, ამისთანა დიდებული, ქრისტეს მოსავი, მამულიშვილი, ივერიელი მადლით სავსე სიტყვაკაზმულობაში, უხვად დაჯილდოებული თვისებით ქრისტიანისა, მამულიშვილისა, მოქალაქისა, დავკარგეთ, მოგვიკლეს ხორციელად, უღმრთოდ მოგვაშორეს საყვარელი ილია, მთელ საქართველოს ძაძა შემოსეს!

სად? იქ აღუმართეს გოლგოთა, იქ მოკლეს იგი, სადაც გლოვის სიმღერით თვით დასტიროდა მამაპაპეულ სისხლს, რომელიც ვერ მორეცხა ვერც მჩქეფარე არაგვმა, ვერც მოდუღუნე მტკვარმა. მით უმეტეს ურჯულო მისთა გული, ძვირფასი ლარნაკი აღსავსე სიყვარულითა – მამულისა და ერისადმი – მოყვასისადმი! შემუსრეს იგი ძვირფასი ლარნაკი. ილია ძვირფასი ქვებითა და სამკაულით სავსეა, რომლიდან შეეძლო ამოევსო თვითეულს უხვად გონების საზრდო, იმ დროს მოგვიკლეს, როცა საჭირო იყო, კიდევ მისი დამჯდარი ხასიათი, ჭკუა, გონება, მსჯელობა და წინარე გამჭვრეტელობა!

სამარცხვინოა ჩვენთვის კალმის ბოროტად მოხმარება და დაუფიქრებლად აზრთა გადმოშლა, რასაც ილია დიდი სიფრთხილით ეპყრობოდა!..

ამისთანა კაცის მოკვლა მიუტევებელი და შეუნდობელი ცოდვაა. განვითარებულ მწერალთა და ერთა შორის! ნიშანია განუვითარებლობისა და ქრისტეს მცნების შეუწელებლობისა.

ვინ მოგვიკლა ჩვენი ილია – განვითარებულმა მეცნიერმა, ბეჩაემა გლეხმა, თუ რა რჯულის პირუტყვმა?! – ჯერ არ ვიცით. ვალად ედებათ ჯერ საგურამოელთ, რომ ეძებონ და იპოვონ ის უსჯულონი, მერე საქართველოსაც, რომ გაიგოს მთელმა ქართველობამ, ვინ არიან და რანი, ვინც ეს ძვირფასი მამულიშვილი ხელიდან გამოგვტაცა!..

ვა, მკვლელთ და მათ მოძღვართ, რომელიც დაუყენეს იგინი ამ სამარცხვინო გზაზე და აატორეს მთელი საქართველო! ამოგლიჯეს ბეჩავ ხალხს გულიდან სინდისი, ღმერთი, მამული, შჯული, ზნეობა და რა მიაგეს მათ წილ?! ივერიელთ შეუგინეს, რაც მათ ჰყოფდა და ახასიათებდა ივერიელად, და აი, შედეგი ესე ვითარის გათახსირებისა!

სადაც ილია არ დაინდეს, ვის წინ უნდა შეუკრთეს ხელი იმ მტარვალს?

მშვიდობით, ძვირფასო მამულიშვილო, ქრისტეს მოსავო. ილია! საუკუნოდ იყოს შენი ხსენება შვილით შვილად და კიდით საქართველოსი, ივერიელთა შორის იმ ქართველთა თანა, რომლებიც მათ დიდებას და ამაღლებას ზვარაკად შეენივნეს. ისინი ზემოდან დაგვცქერიან ამ დიდებულ ტაძარში! განისვენე სავანეთა მართალთა-სა! აღექუას ენა ჩემი სასასა ჩემსა, თუ მე შენ მოგცე დავინწყებისასა! მივედ იქ, სადაც:

**დიდი თამარი, ღირსა ამარი
ჩვენთვის ვედრებად მარად მზად არი.
ამინ.**

მაგრამ, რას ვხედავ, ჩვენი ილია ძილს მისცემია, ჩვენთვის ჰფიქრობს, ღონე და ძალი გამოლევია?..

**ესე რა მოხუცლა მოლოდებო ჩუენო, ძვირფასო ილია?
ეგ იყო ჩვენი მოლოდება? ეგ იყო შენი დაპირება?
ჩუენ ჩვეულნი ვიყავით შენგან კარგს ლაპარაკსა,
სიტყვა პასუხსა მადლონსა კაზმულობითსა?
აღზდეგ, აღიპყარ შენი მარჯუენა, რომ შენ
გსურიან ჩვენთან უბნობა,**

**მაგრამ რას ვხატამთ? ჩუენი ძილგანბილება,
ოხ, ღმერთო ჩემო, მე გვეედრები,
შენ მომაშორე გულს ეს დარდები!
ილია არ გყვას, იგი მოგვიკლეს,
ულვთოთ, უსჯულოთ ის მოგვაშორეს.
ესე სირცხვილი, განბილება**

**საშვილისშვილო თავს მოგვახვიეს,
კაცობრიობას, მეცნიერებას ჩამოგვაშორეს,
რითა აღვრეცხოთ ის შენი სისხლი ღმერთთან მისული,
ვით ვაინისგან უწყალოდ მკუდარი?
დიდხანს იქნება მლალადებლად, ჩუენდა წბილებად,
მარად მქეჯნავად.**



წმინდანები პოლიევქტოს, ვასილ, პეტრე და ანდრია კარბელაშვილები

ქართული მიწაწყდის ბაერითიანება

უცნობი სომეხი გეოგრაფი აღნიშნავს: გუგარქის ყველა თემი ახლა ქართლს ეკუთვნისო. ცვლილებები შეინიშნება ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინოლოგიაშიც: სომეხი ავტორები გუგარქის აღსანიშნავად უფრო ხშირად „ქართლს (ან „ქართველთა“) საპიტიახშოს“ იყენებენ (პიტიახშოა სახლის ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ არშუშა და მისი შვილი ვარსქენი). ქვემო ქართლის პროვინციებიდან მხოლოდ აბოცი რჩებოდა სომხეთში. ეს ქვეყანა, როგორც ვთქვით, ახურიანის სათავეებში, არაქსის ხეობაში მდებარეობდა. ამიტომ მისი შემომტკიცება გაჭიანურდა.

საზღვრები მომდევნო ხანაშიც იცვლებოდა; V საუკუნის პირველ მესამედში ტაშირს (მდ. დებედას ზემო წელი) ქართველთა მთავარი, არშუშა ფლობდა, იმავე საუკუნის შუახანებისთვის – სომეხთა დიდებული ვრენი. 80-იან წლებისთვის ქართლისა და სომხეთის საზღვარი, ტრადიციულად კანგარქის მთებზე (მტკვარ-არაქსის წყალგამყოფზე) გადიოდა და, შესაბამისად, ტაშირიც ქართლის საფეოში შედიოდა.

VII საუკუნის შუახანებში, არაბთა შემოსვლის დროისთვის, ქასალი (გვიანდელი ყაზახი, აღსტაფის ხეობა), ხუნანი და მანგლისისხევი (ეს უკანასკნელი, სავარაუდოდ, ქვემო ქართლის დანარჩენ ნაწილებს მოიცავდა) კვლავ ქართლის ფარგლებშია.

IX საუკუნის I ნახევარში ქვემო ქართლის მიწები განაწილდა სამ ქართულ პოლიტიკურ ერთეულს – თბილისის საამიროს, ქართველთა საკურაპალატოს და კახეთის საქორეპისკოპოსოს შორის. მალე ქვემო ქართლის დაუფლებისათვის ბრძოლაში, სომეხი მეფეები და ალბანელი მთავრებიც ჩაერთნენ.

გვარამ მამფალმა, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა თვალსაჩინო წარმომადგენელმა (გარდაიცვალა 882წ.), რომელსაც დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტანი, აბოცი განუყო ცოლის ძმასა თვსსა, სომეხთა მეფესა (იგულისხმება აშოტ I, პირველი ბაგრატიონიანი მეფე სომხეთში). გვარამის გარდაცვალების შემდეგ, სომხებმა ტაშირიც დაიპყრეს.

სომეხი ბაგრატიონები ამ ტერიტორიების დაპყრობას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ ჯერ სომეხთა და ქართველთა ერისთავთ-ერისთავებად (862-885წწ.), შემდეგ სომეხთა და ქართველთა მეფეებად (885წლიდან) იწოდებოდნენ. სომეხ მეფეთა ამ ხმაურიან ტიტულში სამომავლო დაპყრობითი გეგმებიც გამოიკვეთა.

აშოტ-I-ის მემკვიდრეებიც ენერგიულად იბრძოდნენ ქვემო ქართლის დასამორჩილებლად. თავისი ძალაუფლება მათ მდ. ხრამის ხეობამდე განავრცეს. ალგეთის ხეობა ბირთვისის, ფარცხისისა და ორბეთის ციხეებითურთ თბილისის საამიროში რჩებოდა XI საუკუნემდე.

ბაგრატიონთა სამფლობელოების ცენტრად, ქვემო ქართლში სამშვილდის ციხე იქცა.

სომეხ მეფეთა პოლიტიკას აადვილებდა სომხური მოსახლეობის არსებობა, ამ ქართულ მხარეში (სომეხთა პოლიტიკურ ექსპანსიას მათი თანდათანობითი ინფილტრაციაც მოსდევდა). ამიტომ ისინი თავგამოდებით




ცდილობდნენ ქვემო ქართლის არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ კულტურულ შემომტკიცებასაც, რისი თვალსაჩინო მაგალითია სანაინისა და ახპატის მონასტრების დაარსება (Xს-ის II ნახ.) დებედას შუა წელზე.

სომეხების ექსპანსია ქართულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინოლოგიაშიც აისახა. ამიერიდან, ამ მხარეს ქართველები, სომეხთა პოლიტიკური ბატონობის აღსანიშნავად, „სომხითსაც“ უწოდებენ.

ქვემო ქართლის აღმოსავლეთ ნაწილში, გარდაბანში, გაბატონებისთვის ერთმანეთს კახთა მეფეები, ალბანელი მთავრები და სომეხი მეფეები ეცილებოდნენ. ამ კუთხის ქართული სამყაროსგან გაუცხოებაში მნიშვნელოვანი იყო ჰუნ-სეგორდიელების შემოსევა-ჩამოსახლება VIII ს-ში. ეს მომთაბარე ურდოები შამქორსა და გარ-

დაბანში დასახლდნენ და სომხური სარწმუნოება მიიღეს. ალ-მასუდი მათ სომეხების ერთ-ერთ განშტოებად მიიჩნევს, ახასიათებს, როგორც მამაც და ძლიერ ტომს, ასევე, როგორც საბრძოლო ცულის შესანიშნავ ოსტატებს. სეგორდიელების ცენტრი მდ. ტავუშზე (თაუზზე) ყოფილა. მათი სახლის „სეგორდიქის“ სახელწოდება უფრო დასავლეთით ვრცელდებოდა, ფარავდა ძოროფორს და ზოგჯერ, დებედას ხეობას. სეგორდიქი უტის, ალბანეთის ერთ-ერთი პროვინციის (ესაზღვრებოდა საქართველოს), სინონიმადაც იხმარებოდა. ამრიგად, გარდაბანსა და მის ცალკეულ ხევეებზე ალბანური ოლქის, უტის სახელწოდებაც ვრცელდებოდა, რაც საკმარისი საფუძველი იყო, ალბანეთის კუთვნილ ნაწილად გასააზრებლად. მნიშვნელოვანი იყო ეთნიკური გეოგრაფიაც, ანუ ალბანელების არსებობა. ყოველივე ეს კი ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა, ალბანელთა ექსპანსიისათვის (დაიწყო IX ს-დან). 853 წელს, ბუღა თურქის ლაშქრობის დროისთვის, გარდაბნის აღმოსავლეთი ნაწილი, ტავუშის ხეობა, ალბანთა სამთავროს ნაწილი ყოფილა, ალბანელი მთავრები ამით არ კმაყოფილდებოდნენ და დასავლეთით, საზღვრების გაფართოებას აგრძელებდნენ. მოგვიანებით, გარდაბნისთვის ბრძოლაში, სომხეთის მეფეებიც ჩაებნენ. დროდადრო პოზიციებს კახთა ქორეპისკოპოსებიც იმაგრებდნენ; სომხურენოვანი ალბანელი ისტორიკოსი მოვსეს კალანკატვაცი სეგორდიელ მთავრებს, გიორგის და არავესს (გარდ. 899წ.) ქართველ მხედართმთავრებად მიიჩნევდა.



სამხრეთ-დასავლეთი საზღვრები

მესხეთი

IV ს-ის დასაწყისში, როგორც უცხოელი წყაროები მოწმობენ, ქართლის სამეფო გადაჭიმული იყო კლარჯეთიდან ალანთა კარამდე (დარიალამდე). ქართული წყაროები კიდევ უფრო აკონკრეტებენ ამ ცნობებს. ირკვევა, რომ იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ ბიზანტიიდან წარმოგზავნილი მღვდლები მცხეთაში ერუშეთ-წუნდა-მანგლისის გზით ჩამოსულან; აქვე აუგიათ პირველი ეკლესიები. მაშასადამე, არტანი (ერუშეთი) და ჯავახეთი (წუნდა) მტკვრის ზემო ნელზე ქართლის საზღვრებში შედიოდა, მირიანის შვილიშვილია, მეფე მირდატმა, ინტენსიური საეკლესიო აღმშენებლობა დაიწყო ერუშეთსა და წუნდაში, ასევე „თუხარისის ციხესა შინა“ და „ხევსა კლარჯეთისასა“. მანვე ჯავახეთის ბრძოლაში დაამარცხა ქვეყანაში შემოჭრილი სომხები.

ამხარაჯუიციის მიხედვით, კლარჯეთი, შავშეთი, არტანი და ზემო ჯავახეთი – მესხეთის ამ თემებს ანონიმი სომეხი გეოგრაფი გუგარქის საპიტიახშოს ნაწილებად თვლის – ქართველებს სომხებისგან ჰქონდათ წაღებული. გარკვეულ დროს სომხები, შესაძლებელია, მართლაც დაეპატრონენ ამ ვრცელ მიწას, მაგრამ მალევე დაკარგეს ის. სავარაუდოდ, ამ შემთხვევაშიც, IV ს-ის 70-იან წლებში შექმნილი მოკლევადიანი ორმეფობის გამოძახილთან გვექნა საქმე.

IV ს-ის დასასრულს კლარჯეთს ბიზანტიელები ეუფლებიან. ქართველი მემატიანე წერს – „შემდგომ განუდგეს კლარჯინი ვარაზ-ბაქარს და მიერთნეს ბერძენთა. დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღუთგან არსიანამდე“. დაკარგული ტერიტორიები ვახტანგ გორგასალმა დაიბრუნა, მისი ბიოგრაფი გვაუწყებს, რომ ბიზანტიის კეისარმა კლარჯეთთან ერთად „უკუმოსცა... ჴეენი, რომელნი მოსდგამენ ლადოთა“ (ანუ სამცხე და, შესაძლებელია, აჭარაც –ავტ.) შემოერთებულ მხარეში ვახტანგ მეფემ ააგო ციხესიმაგრეები – არტანუჯი და ახიზა, დაარსა საეპისკოპოსო კათედრები – ახიზა კლარჯეთში, ერუშეთი არტანში, მოგვიანებით მათ შეემატა კუმურდოსა და წყაროსთავის საეპისკოპოსოები ჯავახეთში... ფიქრობენ, რომ ამ დროს უნდა დაბრუნებულიყო კოლაც, რომელიც დიდი სომხეთის ტაოს პროვინციაში შედიოდა.

ვითარება იცვლება VI ს-ის ბოლოსა და VII ს-ის დასაწყისში, როდესაც ბიზანტიის კეისრები მავრიკე (582-602წ.) და ჰერაკლე (610-641წ.) სპარსელთა წინააღმდეგ ლაშქრობენ და უშუალოდ იერთებენ ყოფილი პერსარმე-

ნიის დასავლეთ ქვეყნებს, მათ შორის, ტაოს, ქართველი ხელისუფალნი ეცადნენ, ესარგებლათ შექმნილი ვითარებით და თავისი ძალაუფლება ტაოზეც – ამ ძველ ქართულ მხარეზე – გაეგრძელებინათ, მაგრამ ბიზანტიის ინტერესებში ამგვარი გეგმები არ შედიოდა, ჰერაკლე კეისრის ლაშქრობების შედეგად, ქართლის ერისმთავრებმა დაკარგეს „ბოლო კლარჯეთისა ზღვსპირი“ (ნიგალის და მურღულის თემები ჭოროხის ქვემო დინებაზე) და თუხარისის ციხის ქვეყანა, რომელიც ტაოს შეუერთდა.

ამგვარი საზღვრები დახვდათ არაბებსაც ქართლში პირველი გამოჩენის დროს (654-655წწ.) ალ-ბალაზური არაბი სარდლის, ჰაბიბ იბნ მასლამას, მიერ ქართლში დამორჩილებულ ქვეყნებს შორის ასახელებს კლარჯეთს, შავშეთს, არტანს, სამცხეს და ჯავახეთს.

არაბთა წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებებსა და დამსჯელ ექსპედიციებს შეეწირა მამიკონიანთა საგვარეულო; მათი სამფლობელოების, მათ შორის, ტაოს დაუფლებას სომეხ ბაგრატიუნთა სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები ცდილობდნენ. ზოგი მათგანი, მიზნის მისაღწევად, არაბებთან ჰკრავდა კავშირს, ზოგიც – ქართველებთან. არაბთაგან დევნილი ადარნასე ბაგრატიონი კლარჯეთში დამკვიდრდა, არჩილს ეყმო და მისგან არტანიც მიიღო. VIII ს-ის ბოლოს ადარნასე და მისი მემკვიდრეები ფლობდნენ კლარჯეთს, შავშეთს, აჭარას, ნიგალს, ასისფორს, არტანს და ქვემო ტაოს. გამოდის, რომ ამ დროისთვის ქვემო ტაო და ზემო ტაოს ნაწილი, პარხლის ხეობა (ასისფორი) დედასამშობლოს დაბრუნება. ქართული სახელმწიფოს საზღვრებშია ბიზანტიელთაგან მიტაცებული ნიგალისხევიც. VIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ლევონდ ვარდაპეტი თვლის, რომ ამ დროს კოლას გავარიც (ხევიც) ქართლის პროვინციად ითვლებოდა.

IX ს-ის დასაწყისში ადარნასე ბაგრატიონის შთამომავალმა, აშოტ I კურაპალატმა (809-826 წწ.) ქართველთა საკურაპალატო შექმნა. ეს პოლიტიკური ერთეული იმავე საუკუნის ბოლოდან ქართველთა სამეფოდ იწოდებოდა, მოიცავდა მთელ მესხეთს სპერის გამოკლებით. ქართველი ბაგრატიონები პალაკაციოს ქვეყანასაც (ჩილდრის ტბის მიდამოები) ფლობდნენ. როდის მოხდა შემოერთება, უცნობია. სომეხ ისტორიკოსთან, ფსევდო-შაპუჰ ბაგრატიუნისთან, ასეთი ცნობაა შემონახული: X ს-ის დასაწყისში სუბატ (სომეხ – ავტ.) მეფემ განიზრახა დაეპყრო აფხაზთა გავარები, რომლებიც მდებარეობდა შირაკის გავართან ახლოს, სახელდობრ: კანგარქი, გოგშენი, ძაილცელი, კოლი და არტაჰანქი, და აფხაზთა

არტანუჯის ციხე, მდუმარე მემატიანე



მეფესთან ომი წამოიწყო. სომეხი მემატიანე აბსოლუტურად მართალია, როდესაც დასახელებულ ქვეყნებს ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში ათავსებს; თუმცა კოლა-არტანი, გოგაშენი (ჯავახეთი) და ძაილციელი სინამდვილეში არა აფხაზთა მეფეებს, არამედ ტაო-კლარჯელი ბაგრატიონების საბრძანებელს წარმოადგენდა (კანგარქი იმ დროისთვის სომხებს ჰქონდათ დაპყრობილი). რადგან დასახელებული თემები შირაკის მახლობლად მდებარეობს, ამიტომ ძაილციელში შეიძლება დავინახოთ შერყვნილი ძალისხვევი, პალაკაციოს ერთ-ერთი კანტონის სახელი.

ეფერატის სათავეებში ბაგრატიონებს ეკუთვნოდა პატარა თემი, რომელსაც გვიანდელ წყაროებში გურჯიბოლაზი – ქართველთა ყელი – ეწოდებოდა. მისი ცენტრი ქაჯის ციხე ყოფილა და არტანუჯის ალებას ამოდ ცდილობდნენ ბიზანტიელები. მათ ყოველ გამოხტომას ბაგრატიონები ერთსულოვანი პროტესტით პასუხობდნენ. ისინი იძულებული იყვნენ, ანგარიში გაეწიათ თავიანთი ქრისტიანი მოკავშირეებისათვის.

ტაო-კლარჯელმა ბაგრატიონებმა ისარგებლეს სამხრეთ კავკასიაში ბიზანტიელებისა და არაბების დაპირისპირებით, დაიკავეს ბასიანი, არაქსის მარცხენა სანაპიროზე, ასევე აბნიკისა და მასტატის ციხეები არაქსის მარჯვენა სანაპიროზე და ერზრუმი. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, ბიზანტიისა და ქართველთა სამეფოს საზღვარი მდ. არაქსზე დაიდო; ბასიანი ქართულ სახელმწიფოს შეუერთდა და აღსდგა ძველისძველი საზღვარი, რომელიც ფარნავაზიანებს ეპყრათ.

X საუკუნის ბოლოს, ტაოელმა ბაგრატიონებმა ბიზანტიის იმპერატორისთვის განუელი სამსახურის სანაცვლოდ, მიიღეს ზემო ქვეყნები – სომხური მიწები ეფერატის სათავეებიდან ვანის ტბამდე. მალე დავით III კურაპალატმა (გარდ. 1001წ.) ბასილი კეისრის (976-1025წწ.) სანინაალმდეგო აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა. იმპერატორმა მონინაალმდეგებს სძლია და უმემკვიდრო დავით III აიძულა, სამფლობელოები (მათ შორის, იმიერ ტაო და ბასიანი) მისთვის ეანდერძებინა. ამ გარიგებამ გააძლიერა ბიზანტიელთა აგრესია საქართველოში და მნიშვნელოვნად შეაფერხა ქართული მიწაწყლის გაერთიანების პროცესი.

შავიზღვისპირეთი

შავ ზღვაზე საზღვარს ბიზანტიასთან ურთიერთობები განსაზღვრავდა. IV ს-ის დასაწყისში ეგრისისა და ბიზანტიის საზღვარი მდ. ჭოროხზე, აფსაროსის ციხესთან იდო. მაგრამ უკვე ამავე საუკუნის მეორე ნახევარსა თუ

V საუკუნის პირველ ნახევარში აღზევებულმა ეგრისის მეფეებმა არადა ჩააგდეს ბიზანტიელთა ინტერესები და საზღვრები სამხრეთ-დასავლეთით საკმაოდ შორს გადასწიეს. სომხურ გეოგრაფიას თუ დავუჯერებთ, ამ დროს ეგრისის სამეფოში შედიოდა სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი ქალაქებით ათინა, რიზე, ტრაპიზონი. უცნობია, მხოლოდ ეგრისელებს ჭანეთის მარტო ზღვისპირეთი ეპყრათ თუ მისი შიდა მხარეც.

შესაძლოა, ასეთმა პოლიტიკამ გამოიწვია ბიზანტია-ეგრისის სამხედრო კონფლიქტი (465წ.) იმპერატორ ლეონისა და კონსტანტინოპოლში ჩასული მეფე გუბაზის მორიგება, თურმე, დანიელ მესვეტეს უკისრია. წმინდანის ცხოვრების მიხედვით, მას მოდავე მხარეებს შორის საზღვრები მოუწესრიგებია. თხზულების ქართული თარგმანიდან კი ვიგებთ, რომ საზღვარი ხუფათის ციხეზე (დღევ. ხოფა თურქეთში) დადებულა.

ბიზანტიელები იმის ცდაში იყვნენ, რომ ეგრისელებისთვის როგორმე ფეხი ამოეკვეთათ სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთიდან და საზღვარი კვლავ აფსაროსზე დაედოთ. VI საუკუნეში, თითქოს, ასეთი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა (მიჯნამ აფსაროსზე გადმოინაცვლა), მაგრამ კულტურული კავშირები ეგრისელებსა და ჭანებს შორის არ განწყვეტილა. ისინი ერთ ეკლესიურ ორგანიზმს შეადგენდნენ. მომდევნო საუკუნეებში, როდესაც ბიზანტიელებმა ჭანეთში მტკიცედ მოიკიდეს ფეხი, ეს მხარე ეკლესიურადაც ჩამოაცილეს ეგრისს.

თავის მხრივ, ქართველი მოღვაწენი საზღვრად ხუფათის შენარჩუნებას ცდილობდნენ და არჩილმაც ის საგანგებოდ გაამაგრა. VIII ს-ის 70-იან წლებისთვის გაძლიერებულმა აფხაზთა სამთავრომ, კიდევ ერთხელ გააფართოვა თავისი საზღვრები და როგორც იოანე საბანისძე წერს, ტრაპიზონიც კი შეიერთა. ჭანეთის დიდი ხნით შენარჩუნება ვერ მოხერხდა. X საუკუნის დასაწყისში ბორჩხაში ბიზანტიელთა გარნიზონი იდგა, ხოლო იმპერიის საზღვარი მდ. კოლორისთან (დღევ. ყოროლისთავი ბათუმთან) გადიოდა.

აფხაზთა, შემდეგ კი აფხაზთა და ქართველთა სამეფოს გაძლიერებასთან ერთად, ქართული სახელმწიფოს მესვეურებმა საზღვარი კვლავ ხუფათთან აღადგინეს. ჭანეთის შემოერთება მხოლოდ X ს-ის ბოლოს მოხერხდა.

ზაზა აბაშიძე

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)



რბათის ციხე

ხეები ზეზუზად კვდებიან...



ღამე საკენში, დალარის უღელტეხილის სასაზღვრო საგუშაგოს უფროსის სახლში გავათენეთ. დიდებულად გვიმასპინძლა ავთანდილ ცალანის ოჯახმა.

იშვიათად მინახავს, ასეთი მოვლილი, განყოფილი ოჯახი. გვალვას ვერაფერი დაუკლია მისი ეზო-კარისთვის. ცხენიანი კაცი დაიმალება სიმინდის ყანაში.

დილაადრიან ვსაუზმობთ. ოჯახს სამახსოვრო სურათს ვუღებ და ვაგრძელებ გზას.

გია და მეველუდ ჯაჭვლიანები მუავე წყლებთან გვემშვიდობებიან.

მომავალ შეხვედრამდე ვაჟკაცებო!

მანქანების სასაფლაოს გავცდით.

ურალი ღმუილით შეუყვავა აღმართს.

მაღალი ძაბვის ხაზი კავკასიონი გზის თავზე გადის. იგი ცენტრალურ ქედს კვეთს და ენგურჰესიდან სტავროპოლის მხარეში მიემართება.

ჯვარიდან ჭუბერში რომ მოვდიოდით, გზისპირიდან კარგად ჩანდა – ენგურის წყალსაცავში წყლის დონე თითქმის ოთხი მეტრით დაკლებულიყო. წყალსაცავის მოცულობა მილიარდ 110 მილიონი კუბური მეტრია. აქე-

დან სასარგებლო მოცულობა 776 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს. შარშან ენგურჰესმა ორი მილიარდ 109 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია გამოიმუშავა.

ბოლო წლებში ქვეყანა მწვავე ენერგოკრიზისშია. ზამთარში ისე ხშირად გვიხდება გაყინულ, ჩაბნელებულ სახლებში ცხოვრება, რომ ენერგეტიკოსების კრიტიკა მოდად იქცა.

ბარში მაღალი ძაბვის ხაზის ანძები რამე განსაკუთრებულ ფიქრებს არ აღძრავს, მაგრამ აქ, თითქმის 3000 მეტრის სიმაღლეზე ამ გრანდიოზულ ანძებს და მაჯის სიმსხო სადენებს თვალს რომ შეავლებ, შეუძლებელია, პატივისცემით არ განიმსჭვალო იმ უჩინარი ადამიანების მიმართ, რომელთა შრომა ყოველთვის როდია სათანადოდ დაფასებული...

გზის გასწვრივ ცადატყორცნილი სოჭები **ზეზუზად კვდებიან**. ეტყობა ლაფანჭამიამ აქაც მოაღწია. წყეულმა ლამის მუსრი გაავლო საქართველოს მწვანე საფარს, ნაცვლად იმისა, რომ სანიტარული ჭრების დროს, სწორედ ასეთი დაზიანებული ხეები მოვარიდოთ ტყეს, ზოგი გულხარბი, გულღრძო თანამემამულე, ჩინოსანი თუ უჩინონი, კალიასავით შესევინ ქვეყნის მთა-ბარს. თუ სადმე სალი ხე დაიგულეს, მიწაზე ანარცხებენ და უცხოეთის **გასაბრაზებლად** ამზადებენ. შემდეგ **წარმატებული ოპერაციის დასველებისას**, თბილისის პრესტიჟულ რესტორნებში საქართველოს სადღეგრძელოს ყანწით, თასით ან სულაც **ტურფა ასულის** ფეხსაცმლით სვამენ.

სუბალპურ ზონაში ვართ, ორი თვეა ხეობაში წვეთი წვიმა არ ჩამოვარდნილა. ტალახიანი გზა ისე გამხმარა, მრავალტონიანი ურალის საბურავებისგან წამოხვეტილმა პუდრივით მტვერმა ლამის დაგვასხრჩოს.

გზის პირზე ორი შეკაზმული ცხენი დგას. მორჩილად დაუხრიათ თავი, უნაგირზე ორივეს ცარიელი ხურჯინი ჰკიდია. შორიახლოს სამი ახალგაზრდა დგას დოინჯ-შემოყრილი. მეოთხე ჩამუხლულა და საქონელს ატყა-



მამისონის უღელტეხილი



ვებს. ჩვენი მძლოლი ხელს უქნევს ბიჭებს. ხმამალალი შეძახილებით ესალმებიან ერთმანეთს.

მანქანას ავად გამოენთო ბალანაშვილი, თვალეზა-სისხლიანებული ნაგაზი. მალე მიხვდა, ვერაფერს დააკლებდა გოლიათს, და პატრონისკენ წალასლასდა.

ნახევარი საათის შემდეგ, უკან მოვიხედე, იმ ადგილს, სადაც ბიჭები საქონელს ატყავებდნენ, ცაში უკვე ყორნები დასტრიალებდნენ.

მართლაც, საოცარია ბუნება! საიდან იკრეს ასე სწრაფად სისხლის სუნი!

თავისუფლებას დალის ხეობაში უსმენენ

ქვემოდან მანქანის ხმა ისმის. ჩვენი მძლოლი ასაქცევე ადგილს ირჩევს და ჩერდება – გზა ქვემოდან მომავალ ტრანსპორტს ეკუთვნის. თუ წინასწარ არ შეიგულე ადგილი, გზა ისე ვინროა, მანქანები ვერ აუქცევენ.

კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, პირველი მანქანა გამოჩნდა. შემდეგ მეორე, მესამე, ეტყობა ის კოლონაა, ემზარ კვიციანმა რომ მითხრა, პურის ფქვილის პირველი პარტია შემოაქვთ.

მანქანის ძარაზე ვიდეოკამერიან მგზავრებს შევავლე თვალი. მოგვიანებით გავიგე, – რადიოსადგურ თავისუფლების კორესპონდენტი სოზარ სუბელიანი ყოფილა, სლოვაკ ჟურნალისტებთან ერთად მიდიოდა დალის ხეობაში.

სამწუხაროდ, მაშინ არ ვიცოდი, თორემ მანქანას გავაჩერებდი, დაველაპარაკებოდი, მადლობასაც ვეტყუდი.

თბილისში რომ ჩამოვალ, რადიოსადგურ თავისუფლების ქართული რედაქციის თბილისის ბიუროს ხელმძღვანელს, ბატონ გიგა კიკაბიძეს ვუამბობ, რომ თავისუფლება ინფორმაციის ერთ-ერთი ოპერატიული წყაროა ხეობაში. თავად დავრწმუნდი – 24 აგვისტოს ზუგდიდში განხორციელებული საზარელი ტერაქტის შესახებ, იმავე საღამოს ათის ნახევარზე მოვისმინეთ პრაღიდან.

კათილი გულით მოქლვნილი...

თბილისიდან წამოსვლის წინ, გაზეთ *ევრაზია-ექსპრესში* მივედი ფოტო-ელვის წამოსადებად. მთავარ რედაქტორს, ბატონ ანზორ გვარჯალაძეს ადრეც ბევრჯერ გაუმართავს ხელი.

რედაქტორთან ფოტორეპორტიორ ნოდარ შიუკაშვილისა და ჟურნალისტ ქეთევან ჩემიას გარდა, რკინიგზის დეპარტამენტის პრეს-ცენტრის თანამშრომლები ომარ

ჩიტაია, ამირან ჯიმშელიშვილი და ვანო გელაშვილი შეკრებილიყვნენ.

– **ნეტავ, თქვენთან ერთად მოვდიოდე, რა საინტერესო იქნება მესაზღვრეების ცხოვრების გაცნობა**, – ინატრა ბატონმა ამირანმა.

– რაკი სვანეთში იქნებით, ერთი თხოვნა შემისრულეთ, წმინდა კვირიკეს ეკლესიაში ჩემს სახელზე სანთელი დაანთეთ, – მბარებს ბატონი ვანო, თან ხურდა ფულს ჯიბეში მიგდებს – სანთელი აუცილებლად საკუთარი ფულით უნდა იყოსო ნაყიდი...

ყველას ვემშვიდობები.

ბატონი ომარ ჩიტაია კიბეებზე მომყვება.

– **ჩაგაცილებთ, თქვენთან სასაუბრო მაქვს**.

შენუხებას მოვერიდე, თორემ მის გვერდით გავლას და ბაასს რა სჯობს...

ბატონი ომარი ჯიხურთან მივიდა.

– **ვიცი, ბიჭებისთვის სიგარეტი და სანთებლები მიგაქვთ. გთხოვთ, ეს მცირედიც შემატოთ**, – ბლოკს და სანთებლას მანვდის.

უარს როგორ ვკადრებდი, ასე რომ, მამისონზე და დალის ხეობაში ზოგიერთ მესაზღვრეს თუ სოფლებს აკაკის როლის შემსრულებლის, ცნობილი ჟურნალისტის, ომარ ჩიტაიას ხელშეწავლები მცირედი ნობათი შეხვდა...

დაბრუნება

დალის ხეობიდან დაბრუნებული ურალი კარლო ჩხეტიანის ეზოში შეგრიალდა. მხიარული შეძახილით გვეგებებიან დამხვდურნი, იქაურ ამბებს გვეკითხებიან.



აგაფის აგვანი, ომარ ჩიტაია

ვიდრე მტვერში ამოგანგლილი და დაბეჭილი სხეული წესრიგში მოგვყავს, აივანზე სუფრა იშლება.

სანდომიანი თამადა ჟულვერ გვამლიანი ენამჭევრობს. მთის ადათ-წესების დაცვით, დახვეწილი, ლიტერატურული ენით გვთავაზობს ღმერთების, მთისა და ბარის სალოცავებს, სამშობლოსთვის დაცემული ბიჭების, ქეყნად მშვიდობის, დედასამშობლოს სადღეგრძელოს.

...მასპინძელმა, ბატონმა კარლო ჩხეტიანმა სვანური სიმღერა წამოიწყო. სოსო ჩხეტიანი, აკაკი ანსიანი, თამაზ ცინდელიანი და თემურ რეზესიძე აყვნიენ.

...ო, ლილეეე! – გუგუნებს ცა და ჟრუანტიელი გვივლის.

– ეს სტუმრების პატივისცემით გააკეთა! რამდენი წელია, შვილის დაღუპვის შემდეგ, კარლოს ხმა არავის გაუგია, – ჩუმად მეუბნება ჩემი მეგობარი ქიშვარდ ცინდელიანი. იგი დოცენტია, თბილისში მოღვაწეობს. ჭუბერში სამსახურებრივ საქმეზეა ამოსული.

...ბატონ კარლოს ვაჟიშვილი, 27 წლის ულამაზესი ვაჟკაცი ზურაბი სასაზღვრო რაზმში მსახურობდა, ჭუბერის საგუშაგოს უფროსის მოადგილე იყო, ტრაგიკულად დაიღუპა 1994 წლის 13 თებერვალს.

ბატონი კარლოს მეორე ვაჟიშვილი, გიორგიც სასაზღვრო რაზმშია.

...მირანგულა... თამარ დედფალ... გუგუნებს ცა. საბედნიეროდ, პლეერი ახლოს მქონდა. სიმღერებს ვინერ, რედაქციაში მოვასმენინებ ჩვენებს. ისეთი ხმებია, დარწმუნებული ვარ, იკითხავენ, რომელი ანსამბლი მღერისო.

კარებისკენ გავიხედე. ქალბატონი ჰადუ კედელს მიყრდნობოდა, გულზე ხელებგადაჭდობილი სევდიანად უმზერდა მეუღლეს...

* * *

დღეს სამედიცინო ბრიგადამ ჭუბერის სასაზღვრო რაზმის შტაბში დაიდო ბინა. ექიმები ოთახებში განაწილდნენ, აპარატურა გამართეს და დილიდანვე შეუდგნენ მუშაობას.

როგორც წესი, პირველად მესაზღვრეები გადიან შემოწმებას. მათი ოჯახის წევრებიც მოსულან. მოთმინებით ელოდებიან რიგს.

შტაბის წინ, ეზოში ახალგაზრდები შეკრებილან. მორიდებით მიმხელენ თავიანთ სატკივარს.

– ჩამკვდარია სიცოცხლე. არავითარი სამუშაო არ არისო. ძალიან გაჭირდა ცხოვრება... სრულიად მოუგვარებელია კვების პრობლემებით ადგილობრივების მომარაგება. მედმომსახურება... პრესა, რადიო, ტელევიზია – საოცნებოა. მხოლოდ მოსკოვის პროგრამას იღებენ.

შტაბში ჩემი ახალგაზრდა მეგობარი, ოთხი შვილის მამა მარლენ ქალდანიც მოვიდა. სახლში მეპატიჟება.

ბევრი სიტბო მახსოვს ქალდანის სტუმართმოყვარე ოჯახიდან. მის ვაჟიშვილთან, ლადო ქალდანთან კი 35-წლიანი მეგობრობა მაკავშირებს. მრავალჯერ ვყოფილვარ მთებსა და ბარში, ახალი ათონისა და ტობას მღვიმეებში, ნენსკრას სათავეებში გვითევზავია. ასე



მამარ ჩხეტიანი

მგონია, ისეთი სხმარტალა, გემრიელი კალმახი არსადაა დედამინაზე...

მარლენს ბოდიშს ვუხედი, რომ ამჯერად ჭუბერის ხეობიდან ისე მოვდივარ, მის სახლში ვერ შევივლი, რადგან თბილისში ვბრუნდები.

– წამოდით მესტიაში, არ ინანებთ! – მეპატიჟება სიმონ პირველი.

ვნუხვარ, რომ ხელიდან ვუშვებ შანსს, – კიდევ ერთხელ გავიხარო საქართველოს ულამაზესი კუთხის, – სვანეთის ხილვით; თვალი შევავლო უშბას; შევიარო მესტიის მუხუეშში; ყვავილები მივიტანო ლეგენდარული მიშა ხერგიანის საფლავზე. პატივი მივავო ბორის კახიანის ხსოვნას და მის ოჯახს ვენვიო, მაგრამ ჩემი მივლინების ვადა ამოიწურა.

თბილისში ვჩქარობ დაბრუნებას.

მართალი აღმოჩნდა ბატონი ლადო, – გარდა იმისა, რომ კარგი სპეციალისტები არიან, ყველანი შესანიშნავი ადამიანებიც ყოფილან...

ვემშიდობები მესაზღვრეებს, ახალგაზრდებს და ვტოვებ ჭუბერს. ექიმები კი ორი დღის შემდეგ, მესტიელ მესაზღვრეებთან წავლენ.

ბატონმა ჟულვერ გვამლიანმა ხაიშამდე ჩამომიყვანა. ხაიშში ნახევარი საათიც არ დამჭირვებია ლოდინი, რომ დატვირთული კამაზი გამოჩნდა. კაბინაში, მძღოლის გვერდით პოლიციელი იჯდა.

– შეიძლება ზუგდიდამდე წამოგყვით?

– სიამოვნებით. შეგვიძლია თბილისამდეც წაგიყვანოთ, – იღიმება პოლიციის კაპიტანი გოგილო ჭილაძე, იგი სასიამოვნო მოსაუბრე აღმოჩნდა.

თბილისამდე დიდი გზაა. დრო ბევრი გვაქვს. ვსაუბრობთ სამსახურზე, პოლიტიკაზე, აფხაზეთზე, სპორტზე, ხალხურ მედიცინაზე, პატიმრებზე, მათ ყოფაზე. ისეთი პატივისცემითა და გატაცებით მომითხრო ბატონ გივი ყვარელაშვილზე, რომ მისი საქმიანობის გაცნობა მომინდა. დაინტერესდა პრეპარატ ლაზეგრინით.

– სამწუხაროდ, ბოლო დროს ისე იფეთქა ტუბერკულოზმა. ცხადია, არც საპატიმროებია გამონაკლისი. რაკი ლაზეგრინი ასეთი ეფექტური საშუალება ყოფილა ტუბერკულოზის საწინააღმდეგოდ, გთხოვთ, ჩვენი დეპარტამენტის ხელმძღვანელობას მიაწოდოთ სრული ინფორმაცია, მადლობით მიიღონ, – მითხრა ახალგაზრდა კაპიტანმა.

საუბარში თან შემხვედრ ტრანსპორტს ვაკვირდები.

სამტრედია-ზესტაფონის მონაკვეთზე 17 მაზი და კამაზი დავთვალე, ნიფლის მორებით დატვირთული...

ვაიმე, ჩემო ვენახო... სევდიანად მღეროდა მეოცე საუკუნეში რუსის ჯარში განწვეული იმერელი...

ვაიმე, ჩემო ტკბილო ტყეებო, – კვენესის გული, მაგრამ არავის ესმის, არავინაა გამკითხავი, რადგან ქვეყნის მწვანე საფარზე ზრუნვას დანყველილმა მწვანე ქალაქმა გადაუჯოკრა...

შეუსვენებლად ვიარეთ, ალიონზე, დილის ხუთ საათზე შემოვედით თბილისში. მთელი ხუთი საათი დრო მაქვს, რომ დავისვენო და მოვნესრიგდე.

დღეს რედაქციაში მელიან.

ჯუმბერ ჯიშკარიანი
ახალი ქართული გაზეთი

...შურსა და ცილზე ამაღლებული...

„ლონე ქვეყნისა ნიჭიერი და მხნე კაცია. ნიჭიერ კაცთა უყოლობა ჰქმნის ერს უღონოდ“, – უთქვამს ვოლტერს. კარგა ხანია, ჩვენს შორის აღარ ტრიალებს დიდად ნიჭიერი მწერალი და მხნე კაცი ლევან გოთუა, მაგრამ ქართულ მწერლობაში მის მიერ დაპყრობილი ადგილი კვლავ დაუსახლებელია, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ქართულ მწერლობაში ლევან გოთუას თავისი საკუთარი ადგილი ჰქონდა და აქვს.

იგი დაჯილდოებული იყო დიდი და ნათელი გონებით, მარგალიტით ძნელად რომ იპოვება ქვეყნად. მისი, როგორც მწერლის, იდუმალი ოსტატობა და მომხიბვლელობა ის გახლდათ, რომ მკითხველი მუდამ დაძაბული და მონუსხული ჰყავდა. ლევან გოთუა იყო ჩვენი წარსულის პირუთენელი მსაჯულიცა და ჭეშმარიტი მხატვარიც.

როცა ლევან გოთუაზე ჩამოვარდება სიტყვა, წამითაც კი არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ იგი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული თავისი ქვეყნის წარსულთან და ამით მის ანმეოსა და მომავალთან. პირადად მე, ლევან გოთუა და ჩვენი წარსული ერთ განუყოფელ ხალას ზოდად წარმომიდგება ხოლმე თვალწინ.


ლევან გოთუა იყო და დარჩება სიცოცხლისა და სიყვარულის მომღერლად. მას სწამდა თავისი ქვეყნის არა მარტო წარსული, იგი თავისი შემოქმედებით ჰიმნს უმღეროდა, თავისი ქვეყნის მომავალს და შეჭოფინებდა თანამედროვეობას.

იგი ამაოდ არ დამშვრალა. მისი ყოველი მოთხრობა, პიესა და რომანი ზვარაკად მიტანილი და სასოებით შეწირული, მისი საკუთარი სულისა და გულიდან მოგლეჯილი ნაწილია და მოკრძალებით დადებული სამშობლოს საკურთხეველზე.

მან დიდი გამჭრიახი გონების თვალთ, საკუთარი ქვეყნის სიყვარულით გამაჭვალული გული და მტკიცე მარჯვენა, სამშობლოს სამსახურში ჩააყენა. მართალია, ლევან გოთუა პიროვნული მტრობის უნებური მსხვერპლი შეიქმნა, მაგრამ ვერც შერისხვამ, და ვერც სასჯელმა ვერ გატეხა. იგი დარჩა ჭეშმარიტი პატრიოტისა და მამულიშვილის მაღალ კვარცხლბეკზე.

„...ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ბრალი დაგედოთ და დაგიმტკიცდათ ჩადენული დანაშაული, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის მიუხილთ...“ ლევან გოთუას ესეც მოუსმენია და არა მარტო მოუსმენია, უგემნია კიდევ ნემსიდანს ძალად გაღუნული სამართლის მწარე სატანჯველი. მას არამარტო კავკასიონის მაღალი მწვერვალებიდან დაუღლია თვალნი და დამტკბარა ამა ქვეყნის მშვენიერებით. მას საპყრობილის ცივი კედლებიც უღესია და დილეგიდანაც უმზერია ადამიანებისათვის, იქიდანაც გაუზომავს ავი და კარგი.

ლევანი ბუნებით ძალზე უშიშარი ადამიანი იყო. მოახლოებულ საფრთხეს მოკვდებოდა და არ განერიდებოდა, რადგან დიდი ცხოვრებისეული გამოცდა ჰქონდა დაჭერილი. იცოდა, რა იყო ნებიერი ცხოვრება, გამოცდილი ჰქონდა შიმშილის სიმწარე, უწყოდა ადამიანთა სიყვარულისა და სიძულვილის ზღვარი და სამანი, ნაგემნი ჰქონდა ჭეშმარიტი მეგობრობის დიდი ძალაც და ამხანაგ თანამოსაქმეთა ლალატის ამბავიც არ იყო უცხო მისთვის. მიუხედავად ამისა, მგრძობიარე გულის პატრონი იყო, დამამშვიდებელი დამოძღვრა შეეძლო, მუდამ თავდაჭე-



ლევან გოთუა

რილი გახლდათ, ძველი დარბაისელივით ზრდილი იყო, პატიოსანი, გამორჩეული, მაღალი სულიერი სისპეტაკე ახასიათებდა, ავსა და ბილნ სიტყვას მისგან ვერ გაიგონებდით, და მუდამ ამაღლებულ საგნებზე უყვარდა ლაპარაკი.

მართალია, ცხოვრებაში მრავალი ჭირი გამოსცადა, თავს ბევრი ავი რამ გადახდა, მაგრამ ლევან გოთუას მწერლური არცნობისა და უღიარებლობის ტრაგედია არ განუცდია. პირიქით, მკითხველებს იგი ძლიერი სიყვარულით უყვარდათ, პატივს სცემდნენ, ეთაყვანებოდნენ და აღმერთებდნენ, თუმცა ქართულ კრიტიკას ლევან გოთუასთან ე. წ. *Bellum frigidum* – ცივი ომი ჰქონდა გამართული, და ზავი, თუნდაც დროებითი, ლევანსა და ქართულ კრიტიკას შუა, ჯერაც არაა ჩამოგდებულ-დამყარებული.

მწერალმა გვიჩვენა ნამდვილად უანგარო თავდადების მაგალითი, აგვამალა ზნეობრივად, კარგის ქმნის სიკეთეს გვაზიარა. ყოველივე მწერალმა თავისი კალმის ძალით შეიძლო, მშრალად კი არ დავუმოძღვრებართ, სხვათა შორის კი არაფერი უქადაგნია და ლოზუნგი კი არ უტყორცნია. ლევან გოთუამ დამაჯერებლად გვიჩვენა, როგორ უნდა გაისარჯოს კაცი, როცა მოყვარეს უჭირს, როგორი თავდადება მართებს ერთ ადამიანს მეორისთვის, როგორ საჭიროა თანადგომა განსაცდელის ჟამს, თანადგომა გაჭირვებასა და უბედურებაში. ამიტომ აქვს მის ნანარმოებებს დიდი აღმზრდელობითი დანიშნულება.

ლევან გოთუას შემოქმედების ზიარებისას მკითხველი ეცნობა ძლიერი ხასიათების, ძლიერი ვნებების ადამიანებს. მათ, ვისაც წილად ხვდათ ბრძოლების ქარცეცხლში გამოეტარებინათ, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის გადახდილ უღმობელ ომებში, მრავალგზის დაფლეთილი ეროვნული ალამი.

ლევან გოთუას სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან ჩვენი წარსულის მძიმე სურათების მხატვრული განზოგა-

დება დიდი ზომიერებით მოახერხა. ჩვენი ავბედითი შავი წარსულის სურათების, ჩვენ თვალწინ გადმოშლისას მწერალმა შეძლო თავი დაეღწია იდეალიზაციის მავნე ცდუნებისათვის.

ერთხელ არმაზში მიგვიპატიჟა, მასხოვს მაშინდელი თანამეინახენიც: მუხრან მაჭავარიანი, ოთარ ჭელიძე, ჯურხა ნადირაძე, ფილიპე ბერიძე და სხვანი. გათენებამდე გარეთ, აივანზე ვისხედით. არმაზის შემოგარენში ალბათ სხვა რამეზეც რომ გვესაუბრა, ბუნებრივია, სიტყვა თავისთავად ჩვენს წარსულს გადასწვდებოდა. ჰოდა, მასხოვს, მასპინძელმა თქვა: რა დაემართა ჩვენს წარსულ კულტურას, როგორ ნაცარტუტად გვიქცეის ყოველივე მტრებმა, რომ მეხუთე საუკუნეზე ძველი აღარც წერილობითი ძეგლები შემოგვრჩა და მავანნი და მავანნი ჩვენი ანბანის თვითმყოფობაზეც გვედავებიან. მერედა, ოთხივე კუთხით როგორი მტრები გვერტყა, საერთოდ, თუ დამწერლობა არსებობდა, ისიც კი არ იცოდნენო...

ის იყო დიდად ერთდირებული, მაღალი შინაგანი სულიერი კულტურის ადამიანი, ღრმა მხატვრული აზროვნებისა და მიმართულების გონებით აღჭურვილი. მან დაგვიტოვა ვეებერთელა მხატვრული ტილოები, მე ვიტყვდი, უზარმაზარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, საიდანაც ნათლად გამოსჭვივის მისი შემქმნელის დიდი განათლება და ფართო საზოგადოებრივი ინტერესები. მისი ნაწარმოებებიდან ხან ჟონავს, ხანაც აშკარა ნაკადად მოედინება და ცხადად მოჩანს მწერლის დიდი შემართება, შინაგანი გზნება, ლირიზმით გამოტარი ღრმა ტრაგიკულობის მძაფრი განცდა. იგი იყო დიდი მხატვარი, ვისმა ფუნჯმაც ბევრი ახალი ჭეშმარიტად დასამახსოვრებელი სახე შესძინა არცთუ ღარიბად გამომზიარალ ქართულ მწერლობას, მისი მთელი შემოქმედება – მისი ისტორიული რომანები და მოთხრობები თვითმიზნური შემოქმედების ნაყოფი კი არ იყო, ეს გახლდათ ძიება პასუხისა ქართულ ლიტერატურაში კარგად ცნობილ ბრძენ ლელთ ღუნიასაგან დასმულ თვით არსობისა და თვითმყოფობის საკითხზე.

თავისი ნაწერებით ლევან გოთუამ შეჰქმნა მშვენიერების ჰიმნი, სიყვარულის ჰიმნი, სიცოცხლის ჰიმნი, ყოველივეს დამთრგუნველი და მომსვრელი, ამიტომ არ უწერია მის შემოქმედებას ჭალარის შეპარვა და დაბერება.

ლევან გოთუა გახლდათ ძველი საქართველოს დაუმცხრალი ჭირისუფალი, მოზარე და დამტირებელი, მისი გმირების ვარამითა და სევდით გულდასერილი, იმ ვარამისა და სევდის სამზეოზე გამომტანი. სწამდა და სჯეროდა ერთობლივი საქართველოს ხატი, ის ხატი ესვენა გულზე და იმ ხატის წინ ენთო წმინდა კანდელი. იმ კანდელის მიბჭუტულ შუქზე სარკინეთისა და არმაზის სამანზე მყოფი ჰქმნიდა გონებისა და გულის შემძვრელ ელვარე სურათებს. იდგა ყოველგვარ კუთხურობაზე მაღლა, ამიტომ მიიტანა ასე ახლოს გულთან კახთა საფიქრალი. იგი ამაღლებული იყო ყოველგვარ მიწიერ ცოდვაზე, არ წარმოუჩენია იმ კუთხის შვილები, საიდანაც თვითონ გახლდათ. და როს ავადმყოფობა მიეძალა, ზოსიმე ბერდიდვით მრავალჭირგამოვლილმა, გარეგნულად ძალზე მშვიდმა, გარნა ქარიშხლიანი ცხოვრებით მოღლილ-მოქანცულმა ბობოქარ ზღვაში აშვებული აფრა დაუშვა, ფრთები დაკეცა, ორთაყვირები შორს მოისროლა, და უკურნებელი სენით შეპყრობილმა, თავი დინებას მიანდო...

იგი სამუდამოდ განვიდა თითქოს ამაო წუთისოფლიდან, მაგრამ ეს წუთისოფელი ყველასათვის ამაო როდია. მშრომელი და გამრჯე კაცისათვის იგი ამაო არც არა-

სოდეს ყოფილა და არც იქნება. ის, ვინც ყოველდღიური შრომის ფერხულში იყო და არის ჩაბმული, იღწვოდა და იღწვის, მოყვარისათვის ირჯებოდა და ირჯება, შრომობდა და შრომობს, ამ ქვეყნად სიკეთეს სთესდა და სთესს, მუდამ იმისი წადილი ჰქონდა და აქვს, რომ ქვეყანასა და ხალხს წასდგომოდა და წაადგეს, ასეთი ადამიანები მუდამ ცოცხალთა შორის იყვნენ, არიან და იქნებიან. მათი სახელები შთამომავლობას გზას ლამპარივით უნათებდა, უნათებს და კვლავაც გაუნათებს. და რაოდენ სასიამოვნოა, რომ იმ ადამიანთა შორისაა ლევან გოთუას სხივმოხილი ცხოვრებაც.

ლევან გოთუა სიკვდილის მერმეც თავმდაბალი, მორიდებული და მოკრძალებული დარჩა. მას არ უძებნია წინაპართა სახელგანთქმული განსასვენებელი სავანე და ძვალთშესალაგი. იგი არმაზში საკუთარ ეზოსა და შემოგარენში ჩანვა. აღმოსავლეთიდან მცხეთა ეგულების დარაჯად, დასავლეთიდან ძეგვის ხევი და ციხე დიდი. სარკინეთის მთები და მოდუდუნე მტკვარიც ახლოა. მისგან არცთუ ძალიან შორსაა თვითონ ქართლოსისა და ფარნავაზის საფლავები. ეს უკანასკნელი ხომ წინაშე კერპისა თავისასა არის დაფლული, იქვეა ქართლოსის ციხე, არასოდეს შემუსვრილი მტერთაგან. ეგაა მხოლოდ, არმაზის კერპი შემუსრა წმინდა ნინომ. ასე რომ, იგი ისევ თავის გმირებთანაა, არ მოიწყენს და ჩვენზე საყვედური არ დასცდება.

ღრმად მწამს და მჯერა, რომ ყამთა სვლასთან ერთად ლევან გოთუას სახელი და დიდება სულ უფრო და უფრო ამალდება, რადგან სამშობლოს სიყვარულით აღგზნებული გულები მარად და მარად იარსებებენ, მათ რა გამოლევს და რა სასწაული დაშრეტს...



(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

ეფსეჩეა

არც კი ვიცი, მერამდენედ ვკითხულობ ბატონ ჯუმბერ ჯიშკარიანის ნაწერებს. თუმცა, აღარც ვკითხულობ, ზეპირად ვიცი.

როცა აღსარებას ვწერდი, ვფიქრობდი, ამით წარსულს აღვადგენდი, სინამდვილეში კი, დავწერე, როგორ გადაიქცა წარსული აწმყოდ. ჩემი, როგორც რედაქტორის, მოვალეობად მიმაჩნდა, შემეგროვებინა მისი გაფანტული მასალები და გამომეცა წიგნებად. მხედველობის პრობლემის მიუხედავად, მისთვის შრომა ღირსების საქმე იყო. ემსახურებოდა ერთგვარ ძალას, თვით მასშივე ცოცხლობდა. მე ხომ მხოლოდ სამი წელი ვიცნობდი, ამ ხნის განმავლობაში, მისი ექვსი წიგნის რედაქტორი გავხდი.

ერთხელ შეხვედრა და საუბარიც საკმარისი იყო, რომ შთამაგონებელი მსჯელობის რკინისებური ძალა, პრინციპულობა გეგრძნო...

მაკლია მისი კეთილი სურვილები, ლოცვა-კურთხევა. ხანდახან ხმა და ფეხის ნაბიჯების ხმაური მესმის... ერთი წელი გავიდა, ისევე მტკივა უმისობა, როგორც პირველ დღეებში.

ჯუმბერ ჯიშკარიანი საოცარი მონაზროვნე იყო. ახლობლური გარეგნობის შექმნა ეხერხებოდა. თავისებური მიდგომა ჰქონდა აღწერილ ამბებთან, დახატულ პეიზაჟთან, ჰქონდა წერის მსუბუქი მანერა, თანაგრძნობის ნიჭი არა მარტო მწუხარებაში, არამედ – სიხარულშიც.

მრავლად როდი შეხვდებით ისეთ სპელეოლოგებს, რომელთა შესახებაც შეგვიძლია ვთქვათ, მათ გარეშე ქართული სპელეოლოგია სხვა მიმართულებით წავიდოდა. ბატონი ჯუმბერი სწორედ ერთ-ერთი მათგანია. მოუსვენარი პროფესიით გატაცებამ დაარწმუნა, რომ მისი აღმოჩენა მნიშვნელოვანი და საჭირო გახდებოდა. შესაძლოა, მის მიერ წყალტუბოს პრომეთეს მღვიმის



ჯუმბერ ჯიშკარიანი

აღმოჩენა, ტყეში შესვლის დროს აღძრულ გრძნობას შევადაროთ. გზა გიხმობს, წინ მიდინარ და გაინტერესებს, დაინახო, კიდეც რა იმალება მოსახვევს იქით... სწორედ ასეთი გრძნობა გიპყრობს, როცა ჯუმბერ ჯიშკარიანის – სპელეოლოგის, პუბლიცისტის მემკვიდრეობის სამყაროში შედიხარ. ნაწერები გიპყრობს საჭირობოროტო საკითხებით, ცოცხალი თხრობით, საზოგადოების პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა დარგის ერთნაირი ხედვით.

ხმა ძლიერი, ლოგიკის ძალა უნაკლო ჰქონდა, ლაპარაკის მანერა დინჯი, მაგრამ შეუბრალებელი, მკვეთრი, ზოგჯერ ზომიერად ირონიული, მაგრამ მუდამ ზრდილობიანი, დარბაისლური.

საოცარი ორატორი იყო, არ აღლევებდა, ტონს არ აუწევდა, თავი რკინის ძეგლივით ეჭირა. იგი ხომ 1500-ზე მეტი წერილის და თერთმეტი წიგნის ავტორია!

მეტი ველარ მოასწრო!

მე ამ ახოვანი, სიმპათიური ადამიანის, სახელოვანი კაცის მეგობარი გავხდი.

მას აუსრულებელი სურვილი თითქმის არ დარჩენია. უნდოდა მოსწრებოდა საოცარი მინსქევეთის დასტამბვასაც. ახლადგამოსული ლამის თბილი წიგნი რომ მივუტანეთ, თვალებში ცრემლჩამდგარი ეამბორა.

ჯუმბერ ჯიშკარიანის მსგავსი პიროვნებები კი არ იბადებიან, არამედ – ჩნდებიან. ღმერთმა უმრავლოს მამულს ჯუმბერ ჯიშკარიანის ბადალი ადამიანები.

რა მოჰკლავს ჯუმბერ ჯიშკარიანს, რომლესაც ისეთი ჭირისუფალი ჰყავს, როგორიც მისი ვაჟი – ლევან ჯიშკარიანია.

ლუიზა ბოჩკოვა-ხვიჩია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პირველი ქართული ჟურნალი ბურულაბზე



ბურიკ REGION

დაინტერესებულ მკითხველს მთავარობთ ჟურნალის გამოწერას
დაგვიკავშირდით რედაქციის საკონტაქტო ნომერზე
558 25 65 50

ეპიგრაფიკა კავკაზის ინგოროვას ცხოვრებით



პავლე ინგოროყვა შვილიშვილებთან ერთად

პავლე ინგოროყვა დაიბადა 1893 წლის 1 ნოემბერს. 1912-1915 წლებში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. 1924-1925 წლებში რედაქტორობდა ჟურნალ **კავკასიონს**. 1928 წელს დაარსა გამომცემლობა **ქართული წიგნი**, 1929-1939 წლებში განაგებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი.

პავლე ინგოროყვას პირველი ნაშრომი **ძველი ქართული სასულიერო პოეზია VIII-X საუკუნეებში** გამოიცა 1913 წელს. ნაშრომი ქართული სასულიერო პოეზიის ძეგლთა შესწავლის და წიგნად გამოცემის პირველი ცდა იყო. ავტორიტეტულმა მეცნიერებმა მაშინვე მნიშვნელოვან ნაშრომად აღიარეს. მაღალი შეფასება მისცა აკადემიკოსმა ნიკო მარმა. ნაშრომი დღემდე ინარჩუნებს საუკეთესო პუბლიკაციის სახეს.

1914 წლიდან აქვეყნებს წერილებს ქართული მწერლობის კულტურულ-ისტორიულ საკითხებზე. რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა ქართულ ლიტერატურაში ლექსთწყობას, მეტრიკის საკითხებს. 1916 წელს დაბეჭდა **გალობანი ვარძიისანი** (თამარ მეფის სამადლობელი საგალობელი) – თხზულება იოანე შავთელის, ხოლო 1941 წელს გამოაქვეყნა **თამარ მეფის იამბიკონნი** და სხვ.

პავლე ინგოროყვას ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაშრომია **გიორგი მერჩულე** (1954წ.) ავტორი საუბრობს ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიაზე, განხილულია დასავლეთ საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა, აფხაზთა სამეფოს ხასიათი და რაობა, სამხრეთ საქართველოს პროვინციათა თავგადასავალი. ნაშრომი ახალი საფეხურია ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში. განხილულია V-X საუკუნეების ქართული სასულიერო პოეზია, გამოვლენილია უცნობი პოეტების ჰაგიოგრაფიული თხზულებანი. სწორედ ამ ნაშრომში სცადა, ძველი ქართული სანოტო სისტემის გაშიფვრა.


თამამად შეიძლება ითქვას, ეს არის ძველი ქართული პოეზიისა და ქართული პოეტიკის ენციკლოპედია. დეტალურადაა განხილული ლექსთწყობის სამი სახე

ქართულ პოეზიაში. მიმოხილულია V-XI საუკუნეების ქართული პოეზია, გვაცნობს მის ყველა წარმომადგენელს, მათ შორის რამდენიმე უცნობ პოეტს – ბასილი საბანმინდელს, ეპიფანე ხანძთელს, მაკარი ლეთეთელს, ბასილ ხანძთელს, ივანე მგალობელს, გიორგი საბანმინდელ-სინელს, რატი ორბელიანს...

პავლე ინგოროყვამ ორჯერ, 1953 და 1971 წლებში გამოსცა **ვეფხისტყაოსანი**. იგი ავტორია მონოგრაფიებისა – **რუსთაველიანი** (1926წ.), **შოთა რუსთაველი და მისი პოემა** (1937წ.) ეს უკანასკნელი დართული აქვს შესავალი წერილის სახით **ვეფხისტყაოსნის** საიუბილეო გამოცემას და გამეორებულია სხვა გამოცემებში. დაბეჭდილია ინგლისურ ენაზე 1938 წელს. 1938 წელს გამოსცა **შოთა რუსთაველი** (ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევი). ამავე წელს გამოსცა **რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა**. 1953 წელს კი **ვეფხისტყაოსნის ტექსტი** (ტექსტოლოგიური ნარკვევით).

შეისწავლა XIX საუკუნის სამწერლო ისტორია. გამოსცა ნაშრომები **ნიკოლოზ ბარათაშვილი** (1938წ.) **აკაკი წერეთელი** (1940წ.) **ილია ჭავჭავაძე** (1951წ.). გამოსცა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ჯერ პირველი აკადემიური გამოცემა, შემდეგ მეორე საიუბილეო გამოცემა. მისი რედაქტორობით დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ანტომეული. ყოველ ტომს თან ერთვის, პავლე ინგოროყვას ვრცელი ნარკვევები და დოკუმენტები.

პავლეს რედაქტორობით გამოიცა გიორგი მერჩულეს **ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა**. თანარედაქტორია **შაჰ-**





პავლე ინგოროყვა

ნამეს მეორე ტომის. ვისრამიანის, ქილილა და დამანას. გამოცემული აქვს ნარკვევები ძველი ქართული სამწერლო ძეგლების შესახებ, – ლეონტი მროველი, ქართველი ისტორიკოსი VIII საუკუნისა, ძველი ქართული მატინანე – მოქცევად ქართლისა. ძველი ქართული წარმართული კალენდარი, ანტიკური ხანის ქართული დამწერლობის ძეგლები, სვანეთის საისტორიო ძეგლები...

პავლე ინგოროყვას ეკუთვნის ტექსტოლოგიური შრომები – **აკაკი წერეთლის ლექსები და მხატვრული პროზა**. მისი რედაქტორობით გამოვიდა ნიკოლოზ ბარათაშვილის და ვახტანგ ორბელიანის კრებულები. გრიგოლ ხანძთელის პოეტური კრებული **სანელინადო იადგარი**, რომელიც მაღალი დონის პოეტური ძეგლია. რაც შეეხება გიორგი მერჩულეს, ავტორია ჰიმნების ორი დიდი კრებულის,

საბჭოთა ხელისუფლებამ პავლე ინგოროყვას არა ერთხელ ატკინა გული. 1931 წლის 7 ივლისს როგორც რეაქციონერი და შოვინისტი მწერალი, რომელიც ხელმძღვანელობდა ანტისაბჭოთა ჟურნალს **კავკასიონი**, მწერალთა კავშირიდან გარიცხეს.

1937 წლის ცნობილი რეპრესიების შემდეგ, ერთ დღეს პავლე ნელი ნაბიჯებით მიუყვებოდა ჩიტაძის ქუჩას. უცნობი კაცი აედევნა, აკვირდებოდა, ბოლოს ჰკითხა, – თქვენ პავლე ინგოროყვა ხართ?... როგორ, თქვენ ხომ დასახვრეტთა სიაში იყავით... ერთ საღამოს კიდევ გამოგიძახეს. რა სასწაულმა გადაგარჩინათო?..

1938 წელს პავლე დაიბარეს... ვიდრე კაბინეტში შევიდოდა, იქედან სიმონ ყაუღჩიშვილი გამოვიდა. პავლეს უთხრეს, – სტალინს მოახსენეს თქვენი მოღვაწეობის შესახებ და გაპატიათო!..

პავლე ინგოროყვამ რთული ცხოვრების გზა განვლო...

1955 წელს გალაკტიონ ტაბიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, გიორგი ლეონიძემ და იოსებ გრიშაშვილმა წერილობით მიმართეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ნიკო მუსხელიშვილს, მიეღოთ წარდგინება და პავლე ინგოროყვა აერჩიათ აკადემიკოსად. მას ძლიერი მოწინააღმდეგეები გაუჩნდა როგორც საკავშირო კომპარტიის ცეკაში, ასევე აფხაზეთის სეპარატისტებში. ყველას შურდა, უმაღლესი განათლების არმქონე, როგორ უნდა აირჩიონ აკადემიის ნამდვილ წევრად... გადაგვარებულ „მეცნიერებს“ დაავწყდათ, რომ გალაკტიონს, გოგლას და იოსებს არ მიუღიათ უმაღლესი განათლება, მაგრამ ხელი არ შეუშლია, აერჩიათ პოეტ-აკადემიკოსებად. მთავარი მოწინააღმდეგე ყოფილა ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელსაც სკკპ ცეკას პირველი მდივნის თანამდებობა ეკავა და „ნაციონალისტ“ პავლე ინგოროყვას გამო, აფხაზ სეპარატისტებს ვერ მოიმდურებდა. საქართველოს ცეკას პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე წინ აღუდგა ხრუშჩოვს, რომელიც ოცნებობდა აფხაზეთი საქართველოს სხეულიდან ჩამოეშორებინა, ამიტომ არ დაუშვებდა „ვილაც ნაციონალისტი“ პავლე ინგოროყვა აკადემიკოსად აერჩიათ.

პავლე არ იყო კარიერისტი პიროვნება. მისთვის მთავარი იყო ეროვნული საქმე, ტიტულები და ფორმალური აღიარებები არასდროს ყოფილა მისი ცხოვრების მიზანი.

გული ატკინეს შოთა რუსთაველის საიუბილეო საღამოზე, 1966 წელს, ერთ-ერთ დიდ რუსთველოლოგს, მოსკოვში, თბილისში და ახალციხეში, სიტყვის წარმოთქმის უფლება არ მისცეს. სწორედ მან და შალვა ნუცუბიძემ მოაწყვეს ეს გრანდიოზული ფორუმი. მთავარი მიზეზი სკკპ ცეკას პოლიტიბუროს წევრი, იეზუიტი მი-



ჩოხოსნები: ვახუშტი კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი

ხაილ სუსლოვი იყო. იგი იდეოლოგიურ საკითხებს აგვარებდა და აფხაზ სეპარატისტებს აქტიურად უჭერდა მხარს. არა თუ ტრიბუნაზე დგომა და მოხსენების წაკითხვა, დიდი რუსთველოლოგი ხალხში იდგა, როგორც რიგითი ქართველი...

პავლე ინგოროყვა 90 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამ ქვეყნიდან წავიდა ვალმოხდილი ერისა და ქვეყნის წინაშე...

1990 წელს გუგული მგელაძემ, (პავლე ინგოროყვას სიძე) გამოსცა წიგნი **მე ვარ ჯვარისკაცი ჩემი ერისა**.

ბატონი გუგული იხსენებს: 1977 წელს აშშ-ში, ნიუ-იორკის გარეუბანში გახლდით სტუმრად ქართველი კაცის, ბონდო კეკელიას ოჯახში. მან პავლეს ათასგვერდიანი **გიორგი მერჩულე** გადმოიღო თაროდან – ახლომახლო ექვსი ქართული ოჯახი ცხოვრობს, ეს ერთადერთი წიგნია, კვირაში ერთხელ ვიკრიბებით, როგორც სახარებას, ისე ვკითხულობთ ყოველ საღამოს.

ბატონ გუგულის უკითხავს, საქართველოდან ხომ არაფერი გამოგიგზავნოთ...

– ჩვენ ყველაფერი გვაქვს, ხოლო რაც გვაკლია, ვერავინ გამოგვიგზავნის, – ატირდა მუხასავით კაცი, ცრემლები დასცემია გიორგი მერჩულეს მატთან ერისას.

პავლე ინგოროყვას არქივში იპოვეს პატარა ქაღალდი, სადაც ეწერა: პავლე, ჩემთან მოსვლა უკვე საშიში არაა, შენი ექვთიმე (მას არ დაიჭერენ). ამ წერილს წერდა კაცი, რომელმაც ქართული განძი შეინახა და სამშობლოს დაუბრუნა.

XX საუკუნის 20-იან წლებში კონსტანტინე გამსახურდია პატიმრობაში ჰყავდათ **ბუტირსკის** ციხეში. პავლეს პატარა ბარათი შეუგზავნია ტუსაღისთვის, ამა და ამ დროს შავი ჩოხით გავივლი ისე, რომ შენი საკნის ფანჯრიდან ვწანდო!.. სწორედ იმ დროს ჩაუვლია კოკოს ძმადნაფიც ინგოროყვას. შემდეგ ისე ხშირად გაუმეორებია, რომ ჩეკას უფროსს მოთმინება დაუკარგავს, უყვირია, – ან ინგოროყვა დაიჭირეთ, ან გამსახურდია გაათავისუფლეთო...

კონსტანტინე გამსახურდია გაათავისუფლეს. განგებამ არ განირა ისინი...

პავლეს გიორგი მერჩულეზე მუშაობის დროს, გაურთულდა ფილტვების დაავადება (ტუბერკულოზი), სისხლიანი ნახველი ჰქონდა, ექიმი მიხაკო მგელაძე მოუყვანეს. უსაყვედურა, – ეს სისხლი შეიძლება ისე წაგცდეს, ვერ გააჩეროო. მუშაობა აუკრძალა და წოლითი რეჟიმი დაუნიშნა. როგორც კი მიხაკო წავიდა, პავლე წამოდგა, მაგიდას მიუჯდა და მუშაობა გააგრძელა, – ის ხომ ქართველების ათასგვერდიან მატთან ერს წერდა.

საფრანგეთიდან ჩამოსულ სერგი წულაძეს მისთვის უამბია, როგორ გაიღო ფრანგმა მეცენატმა ქალმა ფული, რომ ექვთიმე თაყაიშვილს თვალებისთვის ემკურნალა. ექვთიმემ ამ თანხით პარიზის ბუკინისტებში გადანახული ქართული მანუსკრიპტები შეიძინა. პავლეს უთქვამს, – აბა, სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყო?! რაც უბრალო მოკვდავთ გმირობად მიგვარჩინა, ბატონი პავლესთვის სრულიად ნორმალური იყო....

პავლე ინგოროყვა ხშირად ამბობდა, – ისეთ მცირერიცხოვან ერს, როგორც ჩვენ ვართ, გამძაფრებული უნდა გვქონდეს ნაციონალური გრძნობა. მრავალრი-


ცხოვანი ერისთვის თუ საშიშროებას არ წარმოადგენს, მცირერიცხოვანისთვის დამღუპველია.

როდესაც 85 წელი შეუსრულდა, დაურეკეს და უთხრეს, ედუარდ შევარდნაძეს სურს თქვენთან მოსვლაო, ოჯახის წევრები ხშირად ეუბნებოდნენ, – ბოლოს გკითხავს, დახმარება ხომ არ გსურსო. შენ უნდა უთხრა, ჩემს შვილიშვილს, გათხოვილს, ბინა არ აქვს. თუ შეიძლება დაგვეხმარეთ-თქო. შვილიშვილი ხშირად ეუბნებოდა, ბაბუ, ხომ იცი, ე. შევარდნაძეს რა უნდა სთხოვო? – რა უნდა ვთხოვო, – პასუხობდა პავლე. ისე უხსნიდნენ, ასე გაგრძელდა ერთი კვირა. ბოლოს ჩაატარეს გენერალური რეპეტიცია, ე. შევარდნაძის ნაცვლად, შედის მისი სიძე გუგული მგელაძე და ეკითხება, – როგორ ბრძანდებით ბატონო პავლე. ვერ მიცანით? – გიცანით, – პასუხობს იგი, – ხომ არაფერი გნებავთ... სათხოვარი ხომ არ გაქვთო?..

ბატონმა პავლემ გადახედა შვილს და შვილიშვილს, მერე შეხედა სიძეს, თითქოს ედუარდ შევარდნაძეს და ჩაიჩურჩულა, – საქართველოს მოუარე, საქართველოსო...

პავლე ინგოროყვას მთავარი სათხოვარი, საქართველოს მომავალი იყო...

ლევან ძნელაძე
მარინა ლომაძე



საქართველოს კონგრესზე ნიუ-იორკში ათი წლის წინ...



წყალტუბოს სანატორიული

საქართველოში არსებულ მრავალრიცხოვან სამკურნალო კერებს შორის მუდამ გამორჩეული იყო მსოფლიოში ცნობილი ქალაქი-კურორტი წყალტუბო, რომლის მთავარი სამკურნალო ფაქტორებია სუბთერმალური, რადონული წყალი; მის უნიკალურ, სამკურნალო-პროფილაქტიკურ თვისებებს განაპირობებს რადონული წყლების ურთულესი ქიმიური შემადგენლობა; ასევე კარსტული მღვიმეების მიკროკლიმატი, – წერს პროფესორი რევაზ სეფიაშვილი წიგნში **იმუნოლოგიის შესავალი**.

1985 წელს, ბატონი რევაზ სეფიაშვილის ინიციატივებით, წყალტუბოს სანატორიუმ **მეგობრობის** ბაზაზე შეიქმნა საქართველოს კურორტების სისტემაში პირველი იმუნოლოგიური ცენტრი; 1990 წელს კი კლინიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაარსდა.

ძნელბედობის ათწლეულის შემდეგ, ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა ალერგოლოგიის, ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის ეროვნული ინსტიტუტი, რომლის სამეცნიერო კვლევებს კოორდინაციას საქართველოს მეცნიერებათა აკადემია უწევს.

რამდენიმე წელიწადში წყალტუბოს ინსტიტუტი რეგიონული კვლევითი დაწესებულებიდან ევროპულ სამე-

დიცინო ცენტრად იქცა. წელს ინსტიტუტს დაარსებიდან ოცი წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღზე და ინსტიტუტის საქმიანობაზე ახლო მომავალში საგანგებოდ მოგიტხრობთ. ამჯერად, ერთ კონკრეტულ საკითხს გავიხსენებ...

* * *

ალერგოლოგიის, ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები სისტემატურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონგრესებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იმართება.

რამდენჯერმე საშუალება მქონდა, მონაწილეობა მიმელო ჩვენი ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული, კონგრესების მუშაობაში თბილისსა და დაგომისში, ანტალიასა და ნიუ-იორკში...

მიზეზთა სხვათა გამო, 1999 წლიდან, დროებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ვცხოვრობდი.

2001 წლის იანვარში ბატონმა რეზო სეფიაშვილმა ნიუ-იორკიდან დამირეკა და კონგრესზე მიმინვია, რომელიც აპრილში უნდა გამართულიყო.

მონვევა მადლობით მივიღე, წყალტუბოს მღვიმის მიკროკლიმატის სამკურნალო თვისებების შესახებ პოსტერული მოხსენება მოვამზადე და თოთხმეტ აპრილს ნიუ-იორკში ჩავედი.

მეორე დღეს, მანჰეტენზე **მარიოტ მარკიზ ჰოტელის** საკონფერენციო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა მეშვიდე საერთაშორისო კონგრესი იმუნორეაბილიტაციის აქტუალურ საკითხებზე.

ფორუმი იმუნორეაბილიტაციის საერთაშორისო საზოგადოების და იმუნოფარმაკოლოგიის საერთაშორისო საზოგადოების პატრონაჟით ჩატარდა.

კონგრესზე ჩამოვიდა ხუთასზე მეტი დელეგატი მსოფლიოს 54 ქვეყნიდან.

ფორუმი გახსნა ჩვენმა თანამემამულემ, იმუნოფარ-



მანჰეტენი 1932 წელი



მაკოლოგიის საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა რევაზ სეფიაშვილმა.

კონგრესის მონაწილეებს მიესალმნენ: გამოჩენილი იმუნოლოგი, აკადემიკოსი რემ პეტროვი მოსკოვიდან; პროფესორი ალან გოლშტეინი ვაშინგტონიდან; ალფრედ როუჩი ნიუ-იორკიდან; ალერგოლოგთა მსოფლიო ორგანიზაციის პრეზიდენტი ბენა კაგნანი არგენტინიდან; ალერგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ევროპის აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი სერჯიო ბონინი იტალიიდან; ასთმოლოგთა მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი გაეტანო მელილო იტალიიდან.

ორგანიზაციის დიდი წინასწარი მუშაობა გასწია. კონგრესის პრეზიდენტის, აკადემიკოს რევაზ სეფიაშვილის ძალისხმევით, როგორც წინა კონგრესში დაგომისა და ანტალიაში, ისრაელის ქალაქ ეილათსა და კანარის კუნძულებზე, ტენერიფეში და თბილისში – ფორუმში ამჯერადაც დიდებულად იყო ორგანიზებული.

კონგრესის მონაწილეებს დაურიგდათ საერთაშორისო ჟურნალის – **იმუნორეაბილიტაციის** მორიგი ნომერი, რომელშიც ექვსასამდე მოხსენების თეზისი იყო დასტამბული.

– იმუნორეაბილიტაციის უახლესი მიღწევები;

აუტოიმუნიტეტი; ნეიროიმუნური ურთიერთმოქმედება; ასთმისა და ალერგიის მკურნალობის თანამედროვე კონცეფცია, – აი, არასრული ნუსხა საკითხებისა, რომლებიც მეცნიერებმა პლენარულ სესიებსა და სიმპოზიუმებზე განიხილეს...

ტრადიციულად, ბატონი რევაზ სეფიაშვილის ძალისხმევით, საქართველოს დელეგაცია ამჯერადაც წარმომადგენლობითი იყო – აკადემიკოსები ვლადიმერ ბახუტაშვილი და ნოდარ ყიფშიძე, პროფესორები – თინათინ ჩიქოვანი, ნინო მანჯავიძე, გეტა შამყულაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი თამარ სანიკიძე; მეცნიერებათა კანდიდატები – მანანა ჩიხლაძე, ვენერა

რუხაძე, დავით პავლიაშვილი, ილია ნაკაშიძე, ლევან შალამბერიძე, ექიმი ქეთევან უტიაშვილი.

კონგრესის ძირითადი პროგრამის დამთავრების შემდეგ, ბატონი რევაზის კეთილი ნებით, მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად, ვაშინგტონში გამგზავრების საშუალება მომეცა, მაგრამ სამწუხაროდ, მიზეზთა სხვათა გამო, ამ შესაძლებლობებით ვერ ვისარგებლე. ამიტომ, ქალბატონ მანანა ჩიხლაძეს წყალტუბოში ბატონ ოტია იოსელიანთან მოკითხვის ბარათი და სიმბოლური სამახსოვრო გამოვატანე, გზა დავულოცე და ათასკილომეტრიან ტრასას დავადექი სამხრეთ კაროლინისაკენ...

ჩვენი ავტობუსი კარგა ხანს ტაატით მიუყვებოდა ქუჩას ტრანსპორტით გადაჭედვით, მრავალმილიონიან ქალაქში. როგორც კი გასცდა დასახლებას, ავტობუსმა სიჩქარე აკრიფა...

უკან მოვიხედე. ჯერ კარგად ჩანდა, თუმცა დაპატარავდნენ მანჰეტენის ცათამბჯენები...

მესამედ რომ მოვიხედე, ქალაქის ხედი თითქმის ნაშლილიყო, ჰორიზონტზე მხოლოდ **ტყუპების** კონტური ილანდებოდა...

რას წარმოვიდგენდი, – იმ დღეს თურმე უკანასკნელად შევაფლე თვალი, ლამის ნიუ-იორკის სიმბოლოდ ქცეულ, მეოცე საუკუნის არქიტექ-



ტურულ საოცრებას...

...ზუსტად ხუთი თვის შემდეგ, 2001 წლის 11 სექტემბერს, **ტყუპებს** ტერორისტები დაესხნენ თავს **ბოინგის** შეჯახების შემდეგ. გიგანტური კოშკები ისე ჩამოშვავდა, რომ რამდენიმე წუთში, ცათამბჯენების ადგილზე მბოლავი რკინა-ბეტონისა და ცემენტის გროვა და სამი ათასზე მეტი სრულიად უდანაშაულო ადამიანის დაფერფლილი სხეული დაარჩა...

ჯუმბერ ჯიმკარიანი
ნიუ-იორკი-თბილისი-წყალტუბო
წყალტუბო, 30 სექტემბერი, 2010 წელი

ნაბელდავი

26 წლის ნიკოლოზ კინმარიშვილი ორი წიგნის ავტორია, მესამე წიგნი კი, გამოსაცემად უკვე მზად აქვს. მისი კვლევის ობიექტი ისევ ზემო გურიაა. ნიკოლოზს უყვარს მთის გურია და ყოველთვის საინტერესოდ წარმოაჩენს. მისი ახალი ნაშრომია, – სოფელი ნაბელდავი და სამკურნალო ფაქტორებით მდიდარი მინერალური წყალი ნაბელდავი.

– დავიბადე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბელდავში. სკოლის დასრულების შემდეგ, ჩავაბარე თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ინჟინერიის ფაკულტეტზე, ბიზნეს ადმინისტრირების სპეციალობით. სწავლა გავაგრძელე მაგისტრატურაში, წარჩინებით მოვიპოვე ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ამჟამად, ვმუშაობ ერთ-ერთ კერძო კომპანიაში.

ეთნოგრაფიისა და ისტორიული ნიაღვრების მიმართ ინტერესი ბავშობიდანვე მქონდა, მეექვსე კლასის მოსწავლემ, მოვიძიე და შევეკრიბე მივიწყებული გურული სიტყვები. როდესაც საკმაო მასალამ მოიყარა თავი, მეთერთმეტე კლასში გამოვეცი წიგნი **ზემოგურული მარგალიტები**.

– როგორ ეძებდი მივიწყებულ სიტყვებს?.. საინტერესოა, მუშაობის პროცესი...

– გეთანხმებით, საინტერესო და სასიამოვნო პროცესი იყო. უბის წიგნაკით დავდიოდი, როდესაც გურულების დიალოგში უცნაურ სიტყვას მოვისმენდი, ვინიშნავდი –



ვდი – იცინის. შემდეგ სიტყვების განმარტებებში ბებია დარეჯან ანთიძე, ბაბუები – რაულ კინმარიშვილი და მურმან კალანდაძე მეხმარებოდნენ. ქალბატონი ნინო რამიშვილის და კომპანია **წყალი მარგებელის** თანადგომით, თავმოყრილმა მარგალიტებმა დღის სინათლე იხილეს, დაიბეჭდა პირველი წიგნი, ეს იყო ჩემი პირველი წარმატება...

– ნიკოლოზ, დღეს, იშვიათია, ახალგაზრდამ მსგავს თემებზე იფიქროს, რატომ გაგიჩნდა ინტერესი?

– ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხი არ მაქვს. როგორც აღვნიშნე, ბავშობიდანვე გამიჩნდა ინტერესი. მართალია, განსხვავებული პროფესია ავირჩიე, თუმცა ხელი არ შეუშლია, ვემსახურო იმ საქმეს, რომელიც ერთგვარი ჰობია. ვფიქრობ, მკვლევარებს თუ მკითხველებს, რომლებიც მსგავსი თემებით ინტერესდებიან, მოეწონებათ.

– 2016 წელს დაიბეჭდა მეორე წიგნი, თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში იყო წარდგინება. მეც დამაპატიჟე.

– დიახ, თქვენმა ჟურნალმა ყურადღება დაუთმო მეორე წიგნს, ჩემი ფოტო განათავსეთ ჟურნალის წინა ყდაზე, რაც დამატებითი სტიმული იყო ჩემთვის, რისთვისაც მადლობას გიხდით. წიგნი ორი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი, მეგობართან, გვანცა კალანდაძესთან ერთად დავწერე. მასში ასახულია გურული ისტორიები, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, მაგალითად, ქორწილისა და დაკრძალვის რიტუალები. როგორი ტენდენციები იყო ძველად და როგორი აღქმა დღეს... ზოგადად, ლექსიკა და დიალექტი ამოუწურავია. ამიტომ, წიგნის მეორე ნაწილი დავუთმე ლექსიკონს, პირველი წიგნის შევსებულ ვარიანტს, 4050-მდე გურულ სიტყვასა და მის განმარტებებს, ღრმა ლექსიკოლოგიური კვლევა, პირველი წიგნის გამოცემიდან, ექვსი წლის შემდეგ დაიბეჭდა **დაუცხრომელთა სამყოფელი – გურია**.

– კვლევა და ლექსიკონი მოიცავს ზემო გურიას...

– გურულებში შეიმჩნევა კილოკაური დიფერენციაცია. გურული კილოს განსხვავდება არა მარტო მთისა და ბარის, არამედ მთებისა და სოფლების მიხედვით. ამჟამად, გავრცელებული კლასიფიკაციით, გურულს ორ კილოკავად ჰყოფენ: ზემოგურულად და ქვემოგურულად. ზემოგურულად ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების მთიანეთში მცხოვრებლების, ხოლო ქვემოგურულად ლანჩხუთის, ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტების მკვიდრთა მეტყველება ითვლება. ზემო გურული მჭიდრო ურთიერთობაშია ქვემო იმერულთან, ხოლო ქვემო გურული – აჭარულთან. რადგან ჩემი კვლევა არ გასცდენია ზემოგურიის ფარგლებს, ამიტომ, ლექსიკონს ზემოგურული მარგალიტები ვუწოდებ.

– გამოსაცემად მზად გაქვს ახალი წიგნი – ნაბელდავი....

– ჩემი ბავშვობა და მოგონებები ნაბელდავთანაა დაკავშირებული, საყვარელი და მშობლიური სოფელია. თემაზე ერთი წლის წინ დავიწყე მუშაობა, ერთიან კონტექსტში გადმოვეცი ჩემს სოფელზე არსებული ფოლკ-



ლორული თუ ბექდური მასალები. საინტერესო იყო ნაშრომზე მუშაობის პროცესი... მოგეხსენებათ, ნაბელლავი ერთ-ერთი გამორჩეული ადგილია, არა მარტო ჩვენს მუნიციპალიტეტში, არამედ მთელ საქართველოში და მსოფლიოში – აქ მოედინება ბრენდი ნაბელლავი.

– როგორ გაჩნდა სოფლის სახელწოდება?

– ლეგენდის თანახმად, კოროშინაძეების გვარის მწყემსებს ნაბელლავის ტერიტორიაზე საქონელი ამოჰყავდათ საძოვრად და სადგომი ბანაკიც ჰქონდათ. ამ ტერიტორიაზე, სადაც ახლა სოფელი ნაბელლაია გაშენებული, ერისთავი დადიოდა სანადიროდ. ერთხელ, ერისთავი შვილთან ერთად ნადირობდა. თავადს ირემი შეუნიშნავს, იარაღი უსვრია. ტყვია მის შვილს მოხვედრია და მოუკლავს. შვილის საერისთავოში გადაყვანაში, იქ მყოფი კოროშინაძის გვარის მწყემსები დაეხმარნენ. როდესაც იმ ადგილს გამოვლინებულა ერისთავი და უთქვამს, წყეულიმც იყოს აქაურობა, თქვენთვის გადმომიცია საჩუქრად. გადმოცემის თანახმად, ამ ფაქტის დადასტურება მწყემსებს დოკუმენტურად უთხოვია. ერისთავს მის ტყაპუჭზე ჩამოხეულ კალთაზე ნაუნერია (სხვა ვერსიით ხარის ბეჭზე).

შუანაბელლავეში ცინცაბაძეების გვარის მრავალშვილიანი ოჯახი ცხოვრებდა. უხუცესები იხსენებენ, კოროშინაძეებსა და ცინცაბაძეებს შორის სისხლიანი დაპირისპირება მოხდა, ცინცაბაძეები სოფლიდან აერილან, ვაკე ტერიტორიაზე კოროშინაძეების გვარი დასახლებულა. დროთა განმავლობაში ამ გვარს, თავდაცვის მიზნით, ირგვლივ შემოუსახლებია დაბლით სიხარულიძეები, გვერდით – დოლიძეები, თავში კი – ქორიძეები.

დაულალავი შრომისა და ბუნებრივი სიმდიდრის წყალობით, აქ დასახლებულები ხდიდნენ ყავარს, აწყობდნენ ბელლებს და შემდეგ ყიდდნენ. ყავარს აქტიურად იყენებდნენ სახლის გადასახურად. ბელლებისა და ხე-ტყის მასალები მდინარე გუბაზეულით გადაჰქონდათ. დროთა განმავლობაში ბელელი დალპა, დარჩა ნაბელლარი, სწორედ, ასე შეარქვეს სოფელს. სახელწოდებამ ტრანსფორმაცია განიცადა და მივიღეთ ნაბელლავი.

სოფელ ნაბელლავეზე პირველი კორესპონდენცია გამოქვეყნდა 1910 წელს, გაზეთ **მომავალში**. სტატიამი საუბარია სოფელში თამბაქოს წარმოებაზე...

– როგორ აღმოაჩინეს ნაბელლავის მინერალური წყალი?


– ნაბელლავის წყლის აღმოჩენის თარიღად მიჩნეულია 1905 წელი. მეორე წიგნზე მუშაობის დროს, გრიგოლ იმნაიშვილის წიგნში **გურული დიალექტი** მოვიპოვე უნიკალური ფოლკლორული მასალა, სადაც ნაბელლავის მკვიდრი, ანტონ კვაჭანტირაძე დანვრილებით ჰყვება, როგორ აღმოაჩინეს მინერალური წყალი – ძროხები ერთ ადგილს ეტანებოდნენ (1962 წლის ჩანაწერი).

ნაბელლავის წყლის მეცნიერული შესწავლა, აღმოჩენიდან სულ მალე, XX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო. პირველად, საქართველოში მოღვაწე ლატვიელმა მეცნიერმა რობერტ კუპცისმა დაიწყო მინერალური წყლის კვლევა. კუპცისმა მოამზადა დასკვნა, – ნაბელლავის მინერალური წყალი სასარგებლოა. ეკუთვნის ბორჯომის, უნერის, ლილჟანის (სომხეთში) ვიშის (საფრანგეთში) და სხვა მინერალური წყლების ჯგუფს. მის მიერ ჩატარებულ კვლევებს, თან ახლდა პოპულარულ წყლებთან რაოდენობრივი გაანგარიშებები, რამდენად მომგებიანია წყლის სამრეწველო ათვისება.

ნაბელლავის მინერალურ წყალზე პირველი სტატია დაიბეჭდა ჟურნალ **საქართველოს სოციალისტურ მეურნეობაში**, 1938 წელი, სათაურით **კურორტი ნაბელლავი და მისი პერსპექტივა**. ავტორი მოგვითხრობს ნაბელლავის წყალზე, მის მნიშვნელობაზე. საკურორტო სეზონის ხანგრძლივობა 4-5 თვეა, მაისიდან ოქტომბრამდე. იმ დროს სანატორიუმში ერთდროულად 400-500 დამსვენებელს იტევდა. სტატიაში საუბარია, 1938 წელს საქართველოს კურორტების მთავარმა სამმართველომ გამოიკვლია მუავე წყლის ბაქტერიოლოგიურ-ქიმიური თვისებები. ნაბელლავი უნიკალურ სამკურნალო-ბალნეოლოგიურ სადგურად აღიარეს.

– როდის დაიწყო სანატორიუმის მშენებლობა?

– ნაბელლავის სამთო-სანიტარული ზონის დაწესების შესახებ, არსებობს 1934 წლის დადგენილება. დოკუ-



მენტში მითითებულია სოფლის საზღვრები. 1937-1941 წლებში საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის ჰიდროგეოლოგიის სექტორის დაკვეთით და გეოლოგ ტ. ჩიჩუას ხელმძღვანელობით, ნაბელავში ქაბურღილების საშუალებით, ჩატარდა წარმატებული გეოლოგიური ძიება. არაერთი სტატია აქვს გამოქვეყნებული პროფესორ ტ. ჩიჩუას. სიამაყით იხსენებს ბურღილების აღმოჩენის ისტორიებს.

მცირე ზომის პანსიონატები და აბაზანები ამოქმედდა. თუმცა მოთხოვნა ყოველ წელს იზრდებოდა. სოფელში 70-იან წლებში აშენდა დიდი სანატორიუმი, მოეწყო კაპიტალური სააბაზანოები. საკურორტო სეზონზე 1200-1500 ადამიანი იხვენებდა. მოდიოდნენ მოკავშირე რესპუბლიკებიდან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სანატორიუმი დაინგრა. შეწყდა ნაბელავის წყლის წარმოება.

– ნიკოლოზ, მკითხველებისთვის საინტერესოა, მინერალური წყლის სამკურნალო ფაქტორები.

– ნაბელავის წყლის სამკურნალო დანიშნულების შესახებ, პირველი სამეცნიერო კვლევა ეკუთვნის, პროფესორ მ. ნოდისას. მისი დასკვნის საფუძველზე, ნაბელავის მინერალური წყლის სამკურნალო ობიექტებია კუჭ-ნაწლავის დაავადებები, კუჭის წვენის მომატებული მჟავიანობით, განსაკუთრებით, ქრონიკული მჟავე გასტრიტები, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის ქრონიკული წყლულები. ამ დროს, გამთბარი მინერალური წყლის დალევა, ჭამამდე ერთი საათით ადრე (1/2–11/2 ჩაის ჭიქა 3-ჯერ დღეში), იწვევს კუჭის წვენის გამოყოფის შემცირებას და წვენის მჟავიანობის დაქვეითებას. ასევე ნაბელავის მინერალური წყლის კუჭის ევაკუატორული ფუნქციის გამაძლიერებელი მოქმედების შედეგად, საჭმელი ნაკლები დრო რჩება კუჭში, მცირდება საჭმლით კუჭის ლორწოვანი გარსის გაღიზიანების ხანგრძლივობა და კუჭის წვენის გამოყოფის პერიოდი. მნიშვნელოვანია, მჟავე ქრონიკული გასტრიტებისა და კუჭის წყლულის დაავადებების დროს.

აბაზანების სახით, თუნდაც პრიმიტიულ ბალნეო-ტექნიკურ პირობებში, ნაბელავის მინერალურ წყალს იყენებდნენ მთელ რიგ დაავადებათა მკურნალობის დროს, მაგალითად, სახსრების ქრონიკული დაავადებები, პერიფერიული ნერვული სისტემის მოშლა, ნევრასტენია და სხვ.

მინერალური წყლის კვლევა დღემდე აქტუალურია. თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის **თბილისი სპა** სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა 25-65 წლის 80 პაციენტის კვლევის შედეგად, მოამზადა დასკვნა: *ნაბელავის მინერალური წყლის მოქმედების მაღალი თერაპიული ეფექტი, განპირობებულია მისი მკაფიოდ გამოხატული მასტიმულირებელი მოქმედებით ღვიძლის, სისხლის მიმოქცევაზე, რასაც თან ახლავს ჰეპატოციტების ტროფიკის გაუმჯობესება. ღვიძლში ჟანგვა-აღდგენის პროცესის გაძლიერება, ნაღვლის ბუშტში ანთებისა და შეგუბებული პროცესების მოწესრიგება. ნაღვლის ქიმიური შემადგენლობის აღდგენა. მინერალ-*

ური წყალი უნიკალური ბუნებრივი ფაქტორია, უფრო მეტიც, აქტიურად მოქმედებს საჭმლის მომნელებელი ტრაქიის ყველა ორგანოსა და ფუნქციონირებაზე. მისი გამოყენება შეიძლება როგორც მკურნალობის, ასევე რეაბილიტაციის პროცესში ჩამოთვლილი პათოლოგიების დროს.

– XX საუკუნის ბოლოს, ნაბელავის წარმოებას სათავეში ჩაუდგნენ ავთანდილ და მიხეილ სვიმონიშვილები.

– დიახ, ათი წლის პაუზის შემდეგ, 1997 წელს, ნაბელავის მინერალური წყლის ისტორიაში იწყება ახალი ეტაპი. წარმოების სათავეში მოვიდა კომპანია **წყალი მარგებელი**. თავდაპირველად, კომპანიის სასტარტო კაპიტალი 50 ათას დოლარი იყო. პირველ ეტაპზე, ნაბელავის ჩამოსხმა ძველი, მიტოვებული ქარხნის ბაზაზე განაახლეს. ეტაპობრივად დაიწყო მისი რეალიზაცია საქართველოს მასშტაბით. კომპანია ნელ-ნელა განვითარდა, 2002 წელს დაემატა ახალი ბრენდი წყაროს წყალი **ბახმარო**. 2007 წელს მიიღეს ორივე ბრენდის ჩამოსხმის ოცდახუთწლიანი ლიცენზია. 2017 წლიდან **წყალ-მა მარგებელმა**, ევროპაში წველებისა და უალკოჰოლო სასმელების ერთ-ერთ უმსხვილეს მწარმოებელ კომპანია **რაუხთან**, დაიწყო ერთობლივი წარმოება. სოფელში გაიხსნა მრავალპროფილური, უალკოჰოლო სასმელების ქარხანა. აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიებით. 40 მილიონი ევროს ინვესტიცია ჩაიღო.

წყალი მარგებელი შევიდა წველების ბიზნესში. აწარმოებს 100%-იან ნატურალურ წველებს რაუხს, ცივი ჩაი, ცივი ყავა, ლიმონათები, ნაბელავი ლაიმი ექსტრაქტით ალუმინის ქილაში და სხვ. **წყალი მარგებელი** მსოფლიოს ოცდაათამდე ქვეყანაში ახორციელებს თავისი პროდუქციის ექსპორტს.

– როდის დაიბეჭდება ახალი წიგნი?

– წიგნი გამოსაცემად მზადაა, თუმცა ხარჯებთან არის დაკავშირებული. მჯერა, სულ მალე გაეცნობიან ჩემი თანასოფლელები და დაინტერესებული პირები.

– რას უსურვებ ნაბელავს?

– ნაბელავში 195 კომლი ცხოვრობს. ქარხანაში ადგილობრივების 80%-ია დასაქმებული. მიუხედავად ამისა, მთავარი პრობლემა, ისევ მიგრაციაა. ნაბელავს არ აქვს მაღალმთიანი სოფლის სტატუსი. კურორტის სტატუსიც მოეხსნა. აქ ათამდე საოჯახო ტიპის სასტუმროა, მხოლოდ ზაფხულობით იღებს დამსვენებლებს. სოფელი არ არის კეთილმოწყობილი, მხოლოდ პარკია, სადაც სტუმრები ბუნებრივად მომდინარე ნაბელავის წყალს აგემოვნებენ და მიაქვთ.

ნაბელავს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს, სოფელზე გადის ჩოხატაური-ბახმაროს გზა, რაც საშუალებას მოგვცემს, სულ უფრო მეტი ვიზიტორი მოვიზიდოთ.

ასე რომ, მასალები ერთ კრებულშია თავმოყრილი. მჯერა, ლამაზ და ბუნებრივი სიმდიდრით გამოირჩეულ ნაბელავს, ბევრი გულშემატკივარი ეყოლება...

მადლობთ, ყურადღება რომ დამითმეთ.


ლელა სურმავა



Ivane Gollidze

ჯერ სიზჷჷა, მერე საქმე...

მკურნალ ბიჭიკო ასკურავას 1 აგვისტოს 80 წელი უსრულდება, ისევ მხნედ და შემართებითაა. ყოველ დღით 7 საათზე იღვიძებს, მეუღლესთან ერთად, მალამოს საფენებს ამზადებს... პაციენტების მიმართ საოცარი თანაგრძნობით გამოირჩევა მადონა ჩიტაია. ცოლ-ქმარმა როგორც თავისიანი, ისე მიმიღეს. უფრო მეტიც, ბატონმა ბიჭიკომ თავის ცხოვრებაზე, მკურნალობის მეთოდზე, ოჯახზე და დიდ სამეგობრო წრეზე წიგნის რედაქტორობა მე მომანდო.



ბიჭიკო ასკურავა

ბით, ბატონო ბიჭიკო. კარებზე ისევ ზარის ხმა ისმის, ლადოს პაციენტი შვილი შემოჰყავს.

- სოხის მუნიციპალიტეტიდან ვართ. - თქვენმა ქალიშვილმა მესაუბრა მობილურით, ბებოს დაავადებაზე მიამბო, - გურული კაცუი მოულოდნელად მეგრული ინტონაციით საუბრობს.

- დიას, ბატონო ბიჭიკო, სწორედ იმ პაციენტის შვილი ვარ. 82 წლის დედის რენტგენო-სურათს აჩვენებს. მენჯ-ბარძაყის ძვალი ტკივა, ოცი დღე სანოლში წევს, ვერ დგება. რას გვირჩევთ?

- როგორც საბურავი ცვთება. ასევეა ძვალი. ბარძაყის ძვალი იშლება. ვერ დაგპირდებით, ჩემი მალამოთი რომ უმკურნალებთ, მალე ირბენს, მაგრამ ტკივილებს შეუმსუბუქებს. მე

...მზის შვილი ასკურავა...
ეს ჩემი პირველი წიგნია. ბედნიერებაა, იყო იმ ადამიანის გვერდით, რომელიც ფენომენალური ნიჭითაა დაჯილდოებული, - უბრალო და თავმდაბალი, კარგი მკურნალი ფსიქოლოგი, საუკეთესო მეუღლე, მეგობარი, ბაბუა, დიდი ბაბუა...

მადლობთ, ბატონო ბიჭიკო!
- ლელა, ჩემთვის მთავარია, ჯერ სიტყვა, მერე საქმე... ადამიანი არ უნდა იყო თავმოშონე, ჩვენს მფარველ ანგელოზს არ უყვარს ქედმაღლობა, მორჩილი უნდა იყო.

ივერიის 5-ში პაციენტების ნაკადი არ წყდება...
მკურნალის სამუშაო კაბინეტში, ლადო ასკურავა ბაბუას ყურადღებით აკვირდება და უსმენს.

15 წლის ბექა ლაბაძე მშობლებთან ერთად მოვიდა მოზარდის დედამ მკურნალს რენტგენო-სურათი აჩვენა, ემოციებს ვერ ფარავდა, - ბატონო ბიჭიკო, ბავშვმა მარცხენა ხელის იდაყვის ძვალი მოიტეხა, ვერ მართავს, მთელი წელი ვწვალობთ, ვისთან არ მივიყვანეთ, ვერ ვუშველეთ.

- იდაყვის ძვალი დანეკროზებულია. სასწრაფოდ საფენებით მკურნალობა უნდა დავიწყოთ, - უთხრა მშობლებს.

- ოპერაცია გვირჩიეს, მაგრამ თავს ვიკავებთ. თქვენ რას გვეტყვიან? - ეკითხება დედა, ნუგეშს სთხოვს, - მართალია, ბევრ გეკითხებით, წარმოიდგინეთ დედის მდგომარეობა, არ მინდა ოპერაცია გავუკეთო.

- სწორი გადაწყვეტილებაა, იდაყვის ძვალს მკურნალობა ესაჭიროება და არა ქირურგიული ჩარევა, - კიდევ ერთხელ აუხსნა მკურნალმა.

- საზღვარგარეთ გავაგზავნეთ ბექას დაავადებაზე, პასუხს ველოდებით, მალე მოვალთ და მკურნალობას დავიწყებთ, თქვენს შესახებ ბევრი მსმენია, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. მოხიბლული ვარ თქვენი. დროე-

ყველას ასე კაცურად და ადამიანურად ვუუბნები, პაციენტებს ვერ მოვატყუებ. ნაუღეთ საფენები, ტრანსპორტირებას ექვემდებარება, შედეგს რომ ნახავთ, ისევ გააგრძელეთ მკურნალობა.


ძვლის ცვეთა - მოტეხილობების მკურნალმა ძვალ-სახსრების დაავადებაზე შეაჩერა ყურადღება.

- ძვალი სახსრების, მყესების, კუნთების და იოგების გარეშე ჩონჩხია. ადამიანი ვერ იმოძრავეს. თუ ძვალი დაიბუჟა, იწყება დანეკროზება, შემდეგ სივდება და ჩნდება სიმსივნე. არა მარტო მოტეხილობებს ვმკურნალობ, არამედ ძვალ-სახსრის დაზიანებულ ადგილს, მალამო კვებავს და კარგ შედეგს ვიღებთ. ძვლის ცვეთა უფრო ხშირია მუხლის არეში, რადგან მოძრაობის დროს, ძირითადი დატვირთვა მუხლებზეა. მუხლების პათოლოგიები ანუხებს როგორც ქალბატონებს, ასევე მამაკაცებს.

- რა ინვესტია ძვლის ცვეთას?
- ორგანიზმში კალციის ნაკლებობა, ასაკი, წონა. იჭყლიტება ხრტილი და მტკივნეულია. კლასიკური მედიცინა ამ დაავადებას მარილების დაგროვებას უწოდებს, რეალურად, მიმდინარეობს ხრტილების განლევა.

- თქვენი წინაპრები მოტეხილობებს მკურნალობდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, ძვალ-სახსრების, მენისკის, პოდაგრას და ოსტეოქონროზის მკურნალობა თქვენი ნოუჰაუა...

- მე დავიწყე ამ დაავადებების მკურნალობა. 52 წლის მანძილზე, დიდი გამოცდილება შევიძინე, ახლა კი, ჩემს შვილიშვილებს დათოს და ლადოს ვუზიარებ. თუ პაციენტმა ხერხემალზე კომპრესირებული მოტეხილობა, ან დაჟეჟილობა მიიღო, ძვალზე და ხრტილზე ჩნდება თიაქარი,



ცომის მასას ჰგავს, რბილია, ნერვს აწვება იჭყლიტება ინვევს ძლიერ ტკივილს. პაციენტს ხელი, ან ფეხი უჩერდება. ჩვენი საფენები თიაქარს ამყარებს, ოპერაციული ჩარევის გარეშე. როდესაც ძვალი დასიებას იწყებს, უკვე სიმსივნეა, ასეთ ავადმყოფებს არ ვმურნალობ. არსებობს ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი სიმსივნეები.

- ქვიანიდან მარტო ჩამოხვედით, თბილისში დამოუკიდებლად გაიკვლიეთ გზა...

- მამა, დავით ასკურავა სულ უკმაყოფილო იყო ჩემით, ლადო, როგორც მე გსაყვედურობ, ასე იყო ისიც. ქირით ვცხოვრობდი, თუ ფული დამჭირდებოდა, ნათესავთან ოპერის თეატრის მხატვართან, ვანო ასკურავასთან ვმუშაობდი. ხშირად მშობლები მეხმარებოდნენ გურიიდან. მყავს დიდი სამეგობრო წრე, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. რაც შეეხება მკურნალობის მეთოდს, თავს არ ვიქებ, ხალხის გამომხაურებები ადასტურებს...

- რაზე გწყდებათ გული, გარდა იმისა, რომ დიდი ტრავმა გადაიტანეთ შვილის, ირაკლი ასკურავის გარდაცვალებით?

- ლელა, გული არაფერზე მწყდება. არ ვითხოვ იმას, რისი ღირსიც არ ვარ. არასდროს მინატრია ბევრი ფული, მხოლოდ ერთს შევთხოვ უფალს, მომცეს შრომის უნარი. ჯანმრთელობა. მშენებლობებზე თბილისში, მცხეთაში, თუ ნავისში ფიზიკურად ვშრომობდი, არ მეთაკილება. შვილიშვილებს და ყველა ახალგაზრდას ვურჩევ, შეიყვარონ შრომა, დაეუფლონ ცოდნას, დაძლიონ სიზარმაცე.

ქართველი კაცი ებრაელს ეკითხება:

- შენი შვილი სად მუშაობს?

- ჩემ გვერდით მაღაზია ვუყიდე, ვაშლს ყიდულობს და ყიდის.

- რამდენად ყიდულობს და ყიდის?

- 5 ლარად.

- ეს რა ბიზნესია, მოგება არ უნდა ნახოს?

- დაგენაცვლე, შენი შვილი კუჩაში სულ უსაქმურად რომ დადის, ჩემი შვილი შრომას ეჩვევაო.

ებრაელის პასუხმა დააფიქრა ქართველი...

სადლეგრძელოებში ხშირად ამბობენ, - სულ წინ, წინ იარეო. სულ წინ სიარული დაუშვებელია, იქნებ, ადიდებული მდინარე შეგხვდა, ისევ წინ უნდა ნახვიდე?! სადაც დაბალი წყალია, იქ უნდა გახვიდე. შვილიშვილი ყურადღებით უსმენს ბაბუს.

კარებზე ისევ ზარის ხმაა. 60 წლის ქალბატონს ფეხის მოტეხილობა მიუღია. ახლობლებმა რენტგენო-სურათი აჩვენეს. ბატონი ბიჭიკო საფენებს ამზადებს, პაციენტთან ნასასველელად მკურნალის მეგობარი, როდისკო მეიშვილი ემზადება.

- რუმინეთის ელჩს რკინის კარებში მოჰყვა თითები. უკვე უჩირქდებოდა, ვის არ მიმართა, ბატონ ბიჭიკოსთან მოვიყვანე. შედეგით გაოცებული დარჩა, სამშობლოში დაბრუნების დროს, ამბობდა, - ეს რა სიმდიდრე გაქვთ ქართველებს!..

ბიჭიკო ასკურავა მრავალი პრიზისა და დიპლომის მფლობელია. აშშ-ს კულტურისა და მედიცინის ინსტიტუტმა გადასცა დიპლომი დოქტორის წოდებით. ხოლო სამედიცინო ორგანიზაციის პრეზიდენტმა ჯ. ევანსმა ოქროს მედლით დააჯილდოვა.

ჩვენი დროების საქართველოში ცხოვრობს და მოღვაწეობს კაცი, ვისი სიტყვა ყოველთვის სანდოა, წარმატებულ საქმიანობას კი, პაციენტების სიმრავლე ადასტურებს.

კარებზე ისევ ზარის ხმა ისმის... შაბათი დღის მიუხედავად, მკურნალს დატვირთული გრაფიკი აქვს...

ლელა სურმავა



დაუსწრებადი სიყვარული...



სიმონ ჩერქეზიშვილი და ზინაიდა კროსბალი

სერგი კროსბალი, ცოლ-შვილთან ერთად, დროულად გამოასწრო ქალაქ ხარკოვში შესულ ფაშისტებს. თბილისში სერგის ოჯახს როგორც ლტოლვილებს, ისე იღებდნენ... აქ დახვდათ შსს-ს საფინანსო განყოფილების თანამშრომელი, ახალგაზრდა სიმონ ჩერქეზიშვილი, დააბინავა ქალაქის ცენტრალურ უბანში, ფურცელაძის ქუჩაზე. კროსბალები დროთა განმავლობაში შეეჩვივნენ დედაქალაქს, დაიწყეს მუშაობა. სიმონ ჩერქეზიშვილი ხშირად აკითხავდა მათ. ერთ მშვენიერ დღეს, სიმონმა კროსბალების შუათანა შვილი, ოცი წლის ულამაზესი ზინა შეირთო ცოლად. სულ მალე შეეძინათ ვიოლეტა ჩერქეზიშვილი. როგორც კი დატოვეს ფაშისტებმა ქალაქი ხარკოვი, სერგი, ოჯახთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა. ბებო პატარა გოგონას ურჩევდა, დედის გვარზე გადასვლას. დედამ არაერთხელ თხოვა, თუმცა უარი მიიღო... ვიოლეტა ყვება, – ჩემთვის სრულიად უცნობი იყო, მაგრამ მაინც იქ დაბრუნება მსურდა, უხილავი ძალა მისმოხდა. ერთხელ ქუჩაში მე და დედა მივდიოდით, ჩვენს წინ ორი კაცი ჩემთვის უცნობ ენაზე საუბრობდნენ, ქართველები მეგონა, დედამ მითხრა, – სომხები არიანო...

გადიოდა წლები, ხარკოვი ვერ გახდა ვიოლეტას სამშობლო, მეცხრე კლასის მოსწავლე მამამ თბილისში ჩამოიყვანა. ქართულად ვერ საუბრობდა. მართალია, ხარკოვში თავისი ბებია და ორი დეიდაშვილი ცხოვრობდნენ, მაგრამ იქ ყოფნა არ სურდა.

სიმონ ჩერქეზიშვილი ერთ-ერთი მივლინების დროს, ზინას ოჯახში მივიდა, უამბო, პირველ ცოლთან შვილები რომ ჰყავდა, არ უთხრა, დიდი ხნის დაშორების ამბავი. ოცი წლის ზინა ქალაქში მარტო იყო დარჩენილი. ზინა გაბრაზდა და შვილი ხარკოვში წაიყვანა. იქ ჩასულ კროსბალებს ზინა დაბომბილი დახვდათ. ხელისუფლებამ მცირე ნაკვეთი მისცა, ააშენეს პატარა სახლი, ზინამ ქმარს არ შეატყობინა ახალი მისამართი. ასე დაიწყო ვიოლეტა ჩერქეზიშვილის ხარკოვში ცხოვრება. სკოლაში უძნელდებოდათ მისი გვარის წარმოთქვა. გარეგნულად განსხვავებული იყო, ვიოლეტა ებრაელი ეგონათ, თანატოლმა ბიჭებმა სამჯერ სცემეს...

სკოლის დასრულების შემდეგ, ვიოლეტამ ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე საფინანსო განხრით. რადგან დღისით მუშაობდა, ამიტომ საღამოს დაუსწრებულზე სწავლობდა, უნივერსიტეტის წარმატებით დასრულების შემდეგ, ერთ-ერთ სამინისტროში დაიწყო მუშაობა. ვიოლეტა მალე დაანინაურეს, – დაინიშნა სატყეო დეპარტამენტის საფინანსო განყოფილების უფროსად. გოგონას ცხოვრება ისევ სათაყვანებელ სამშობლოს დაუკავშირდა. გაიცნო მომავალი მეუღლე, ბათუ ასკურავა. ვიოლეტას და ბათუს შეეძინათ ქალ-ვაჟი. გიორგი ასკურავა ინგლისური ენის სპეციალისტია, სინქრონისტი. პროფესიული საქმიანობის დროს, იგი შეხვედრია მეფეებს, პრინცებს, პრეზიდენტებს, პარლამენტის თავმჯდომარეებს. გიორგის მეუღლე ეკა ერთ-ერთ წარმატებულ ფირმას ხელმძღვანელობს. ჰყავთ ვაჟი, ცამეტი წლის ალექსანდრე ტარას შევჩენკოს სახელობის რესპუბლიკური კონკურსის სამგზის გამარჯვებულია. ქალიშვილი, ანანო ასკურავა პროფესიით რუსული ენის სპეციალისტი. ამჟამად, გახლავთ ერთ-ერთი ფირმის ფინანსური დირექტორი. ანას შვილი, ია მუშაობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.

ცოლ-ქმარმა ორმოცდათორმეტი წელი ერთად გაატარეს. ვიოლეტა ამყია, როგორც უკრაინული გენით, ასევე კახელი თავადების, ჩერქეზიშვილების შთამომავლობით.

ეკა ჩოჩუა



ვიოლეტა ჩერქეზიშვილი და ალექსანდრე ასკურავა

გურიის თაველთა ლა ეზნაერთა ოჯახები

მასხარაძეები

165. ივანე იასეს ძე
მეუღლე მისი რუსუდანი
მათი ვაჟები: პავლე, კონსტანტინე
ქალიშვილი ეკა

166. პრაპორშნიკი ბიბონა ქაი-
ხოსროს ძე
მეუღლე მისი სალომე
მათი ქალიშვილი მარიამი

167. გიორგი ქაიხოსროს ძე
მეუღლე მისი ცაცო
მათი ვაჟები: ივანე, კოსტა, ეს-
ტატე
ქალიშვილები: ასპინოზა, ალათი,
მართა, თეკლა

168. საყვარელ გიორგის ძე
მეუღლე მისი დუნიადარა
მათი ვაჟები: გიორგი, მიხეილი,
იასე, ქიშვარდი
საყვარელის ძმები: ქაიხოსრო,
ამბაკო, აღმასხანი
ამბაკოს მეუღლე დაჯია
მათი ქალიშვილი ნინო

169. ექვთიმე ხუტოს ძე
მეუღლე მისი მდიდარა
ექვთიმეს ძმა ივანე

170. დავით იასეს ძე
მეუღლე მისი მარიამი
მათი ვაჟები: როსტომი, მალაქია,
თომა, ბესო, კონსტანტინე
ქალიშვილი მატა

171. ალექსანდრეს ქვრივი
მანიყა
მისი ვაჟი ქაიხოსრო
ქალიშვილი ელისაბედი

172. ნოკოლოზ გიგოს ძე
მისი და ბარბალე

მგალობლიშვილები

173. მაქსიმე ივანეს ძე
მისი ძმა გიგო
მისი დები: ნინო, ანა
დედა მარიამი

174. გიორგი იასეს ძე
მეუღლე მისი თამარი
მათი ვაჟები: იასე, დათა
ქალიშვილები: გულქანი,
მატა

175. ტარიელ დავითის ძე
მეუღლე მისი ბარბალე
მათი ვაჟები: დავითი
ქალიშვილები: დესპინა, ეკა
ტარიელის ძმები: ალექსანდრე,
გოთუნა, მერაბი
დედა მზეხა

ნაკაიძეები

176. საყვარელ გიორგის ძე
მეუღლე მისი გულქანი
მათი ვაჟები: პრაპორშნიკი ბა-
გრატის, ივანე, ადო
ქალიშვილები: ევდუქსია, დოდო,
სადიკო, ნინო
ბაგრატის მეუღლე ელისაბედი
მათი ვაჟი სეფე
ქალიშვილი ხანგასპო

177. ბერი პაატას ძე
მეუღლე მისი მაკო
მათი ვაჟები: მაქსიმე, კონსტან-
ტინე, ბესო
ქალიშვილები: ელისაბედი, ანა

178. გიორგი პაატას ძე
მეუღლე მისი სუსანა
მათი ვაჟები: გოჯასპირი, მიხეი-
ლი, ალექსანდრე
ქალიშვილები: ელისაბედი, თა-
თია, ანა
გოჯასპირის მეუღლე მაკო
მათი ვაჟი გიგო

179. გიორგი ქაიხოსროს ძე

მეუღლე მისი მარიამი
მათი ვაჟები: კაცია, ლევანი, მა-
ქსიმე
ქალიშვილები: ნინო, ეთერი, ეგ-
ვიპტა, ატატო, ირინა

თავართქილაძეები

180. პრაპორშნიკი დიმიტრი ია-
სეს ძე
მეუღლე მისი ანუკა
დიმიტრის ძმა ოტია

181. ოთარ ბეჟანის ძე
მეუღლე მისი ელისაბედი
ოთარის ძმები: მიხეილი, სოლო-
მონი

თაყაიშვილები

182. სიმონ ლევანის ძე
მისი ძმა ხოსო
მეუღლე მისი ელისაბედი

183. გიორგი ლევანის ძე
მეუღლე მისი დარეჯანი
მათი ვაჟები: ლევანი, დათა
ქალიშვილები: ზალიხანა, სოფიო

184. პრაპორშნიკი ქაიხოსრო გა-
ბრიელის ძე
მეუღლე მისი ნინო
მათი ვაჟები: დათა, ივანე
ქალიშვილი ელისაბედი
ქაიხოსროს ძმა, პრაპორშნიკი სი-
მონ გაბრიელის ძე
მეუღლე მისი ნატალია

185. კონსტანტინე ზაალის ძე
მისი დები: ელისაბედი, ნუშ-
რივანდა, ტასია

186. ალექსანდრე გიორგის
ძე
მეუღლე მისი მატა
მათი ვაჟები: გიორგი, იოსები
ალექსანდრეს ძმა მიხეილი

187. თაყა როსტომის ძე
მეუღლე მისი სურათა
მათი ვაჟები: ალექსანდრე,
როსტომი
მათი ქალიშვილები: მზეხა,
კეკელა, ნინო
თაყას ძმა ბესო
მეუღლე მისი მატა
მათი ვაჟი კონსტანტინე

188. გიორგი ოთარის ძე



ქართველები, მიხაი ზიჩი

მეუღლე მისი ელისაბედი
მათი ვაჟი თაყა
ქალიშვილი მანიკა

189. გაბრიელ შევარდენის ძე
მეუღლე მისი სურათა
მისი ძმა ბეჟანი

190. სიმონ ნიკოლოზის ძე
მეუღლე მისი ნინო
სიმონის ძმები: ხოსო, ერდიშელი,
კონსტანტინე

191. გიორგი თაყას ძე
მეუღლე მისი ეფემია
მათი ქალიშვილები: პელაგია, ას-
პინოზა

თიქანაძეები

192. გიორგი გაბრიელის ძე
მეუღლე მისი გულქანი

193. ელიშუხ ივანეს ძე

194. თანდარუხ გიორგის ძე

მეუღლე მისი მაკა

ტუსკიები

195. იობ გიორგის ძე
მისი ძმა ბესარიონი
იობის ვაჟები: იოსები, მიხეილი,
პავლე, ნიკოლოზი

196. ამბაკო სპირიდონის ძე
მეუღლე მისი მარიამი
ამბაკოს ძმები: თომა, ანანია,
დიონისე, ნიკოლოზი
დიონისეს მეუღლე მინატრა
ნიკოლოზის მეუღლე ელისაბედი
მათი ვაჟები: გიორგი, სორეხი,
ლუარსაბი
ივანე სპირიდონის ძის ქვრივი
გულქანი
მისი ვაჟები: პორფირე, სპირი-
დონი

უჯმაჯურიძეები

197. ბეჟან ბინიას ძე
მეუღლე მისი ტასია
მათი ვაჟები: ავგენტი, ანტონი

198. ოქროპირ დიმიტრის ძე
მეუღლე მისი მარიამი
მათი ვაჟები: დათიკა, ივანე, მაქ-
სიმე, როსტომი
ქალიშვილი ელისაბედი
ოქროპირის ძმა დიონისე
მისი ქალიშვილი სულინოზა

სუტულიაშვილები

199. აღმასხან საყვარელის ძე
მისი ძმა ჩითანი

200. ბეჟან ივანეს ძე
მეუღლე მისი პეპია
მათი ვაჟი გიგო

სქიტიშვილები

201. ივანე სიმონის ძის ქვრივი
ჯუფანა
მისი ვაჟი კონსტანტინე
ივანეს ძმა მერაბი
მერაბის მეუღლე ნინო
მათი ვაჟები: გლახუნა, დათიკა,
ლუკა, ნიკო.

ახალგაზრდობის აღმოსავლური ელექსირი

იყავით ღამაში და ჭანბითერი ზედმეტი ძარისხმევის ბაჩეშე



ორგანიზმის დაბერებას ვერ შე-
ვარჩევთ, ამას უნდა შევეგუოთ.
ყველა ასაკში გვსურს, კარგად გა-
მოვიყურებოდეთ და თავი ახალ-
გაზრდულად ვიგრძნოთ. საჭიროა,
დავიცვათ სწორი კვების რეჟიმი, არ
დავივინყოთ ფიზიკური დატვირთვა,
თავი სტრესისგან დავიცვათ.

ეს ნარევი დიდი პოპულარობით
სარგებლობს აღმოსავლეთში. ხელს
უნყოფს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სწ-
ორ მუშაობას.

როდესაც კუჭი ჯანმრთელია,
ჩვენს გარეგნობაზეც აისახება. ეს

ელექსირი წმენდს სისხლძარღვებს,
ღვიძლს, რაც მოქმედებს არა მხო-
ლოდ კანის სილამაზეზე. ნარევი
არსებული ნივთიერებები ამალღე-
ბენ იმუნიტეტს და ხელს უწყობს
ცისტიტის და პიელონეფრიტის
პროფილაქტიკას.



ინგრედიენტები:
– 100 მლ ლიმონის წვენი
– 200 გ თაფლი

– 50 მლ ცივი დანწევით მიღე-
ბული ზეთუნის ზეთი
ინგრედიენტებს კარგად მოუ-
რით და ნარევი მაცივარში შეინა-
ხეთ. ეფექტისთვის რეკომენდირებუ-
ლია ელექსირის 1 ს/კ მიღება ყოველ
დილით უზმოზე. შედეგს ერთ თვეში
დაინახავთ. იყავით ჯანმრთელი და
პოზიტიური!



შავი შოკოლადი



ღლეში სამოცი გრამი შავი შოკოლადი ამცირებს სისხლის მაღალ წნევას
და ცუდი ქოლესტერინის დონეს. შეუძლია, აღმოფხვრას გულის დაავადებე-
ბი, დაიცვას კანი მზის დამწვრობისგან და გააუმჯობესოს ტვინის ფუნქცია.
ასევე, გაგიუმჯობესოთ განწყობა, ჭამის დროს ორგანიზმში ენდორფინი
– ბედნიერების ჰორმონი გამოიყოფა.

კურდღელზე უფრო ეშმაკი კაცი

პიესა

მოჩანს ოდა. ოდის წინ ეზოში კაცი დგას.

პირველი მთხრობელი: იყო ერთი ჭკვიანი და შრომისმოყვარე გლეხი. მუდამდღე მუხლჩაუხრელად ტრიალებდა. ბევრს წვალობდა და მშვენიერი ბოსტანიც გაეშენებინა.

მოჩანს ტყის პირი სოფლის ბოლოს და კურდღელი, ბილიკს ტყიდან რომ მოუყვება.

მეორე მთხრობელი: კაცის ბოსტანი ძალიან მოსწონდა კურდღელს, რომელიც მახლობელ ტყეში ცხოვრობდა. ეწვეოდა ხოლმე ბოსტანს და ხან რას იპარავდა, ხან რას.

წინა პლანზე ჩიტები ჩანან.

პირველი მთხრობელი: არც ჩიტები რჩებოდნენ ხოლმე უკმაყოფილონი. მათთან კურდღელს ხშირად მოსდიოდა ჩხუბი, ვერ მორიდდნენ, ვის მეტი მოეპარა.

კურდღელი ბუჩქებში ზის ჩაფიქრებული,

კურდღელი: – რამე უნდა ვიღონო, თორემ ჩიტები ყველაფერს შეჭამენ და არაფერი დამრჩება.

მეორე მთხრობელი: კურდღელმა მოიფიქრა.

კურდღელი: – მივალ და კაცს ვურჩევ, საფრთხოებლა დადგას, თან ეს საქმე სიკეთედ ჩამე-

თვლება.

კურდღელი კაცს ელაპარაკება ეზოში.

კურდღელი: – რამე უნდა იღონო, ჩიტები მთლად შეგიჭამენ ყველაფერს და შენ რა დაგრჩება?..

კაცი და კურდღელი ჩაფიქრებული დგანან.

კაცი: – ვიცი, ჩემი ნამდვილი მეგობარი ხარ. მითხარი, რა ვქნა, რა მოვიფიქრო?

კურდღელს გახარებული სახე აქვს. ვითომ, ეს-ეს არის, რაღაც მოიფიქრა.

კურდღელი: – მოვიფიქრე! მოდი, საფრთხოებლა დადგი. ჩიტებს შენ ეგონები და აღარ გამოვლენ.

კაცი გახარებულია.

კაცი: – ეგ კი არ მომსვლია აზრად. რა კარგია, რომ მითხარი.

მთხრობელი: სასწრაფოდ გააჩინა კურდღელმა ჯოხები – ტყეში გაქცევა სულაც არ დაზარებია.

კურდღელს მხარზე გაუდია ორი გრძელი ჯოხი. კაცს მოაქვს ტანსაცმელი და ქუდი, ზუსტად ისეთი, როგორც თვითონ ახურავს. საფრთხოებლას აცმევენ ტანსაცმელს.

კაცს უკვე გამზადებული საფრთხოებლა მია-





ქვს ბოსტნისკენ. უკან კურდღელი მიჰყვება.

კურდღელი: – პირდაპირ ზედგამოჭრილი შენ ხარ.

კაცი: – შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა, ისიც მირჩიე, სად დავდგე, – უთხრა კაცმა.

კურდღელს ბრძენის სახე აქვს, წარბი მაღლა აუწევია და ბოსტნის შუაგულზე მიუთითებს,

კურდღელი: – აქედან უფრო შეაშინებს.

კაცი მიწაში არჭობს საფრთხობელას. კურდღელიც ეხმარება.

კურდღელი: – ფრთხილად, ფრთხილად, რამე არ გეტკინოს – იცინის.

კურდღელი წასასვლელად ემზადება და კაცს ხელს უწვდის დასამშვიდობებლად.

კურდღელი: – კიდევ რამით ხომ არ შემიძლია დაგეხმარო? თუ რამე დაგჭირდეს, არ მოგერიდოს,

კაცი: – ამხელა სამსახური გამინიე, ბარემ ერთ რამეშიც დამეხმარე, – ვილაც ქურდი შემოეჩვია ჩემს ბოსტანს და ლობე უნდა შემოვავლო.

დალონებულ კურდღელს წნელები გაუდია ზურგზე და მოაქვს.

მთხრობელი: მანამდე ბევრს ეჩიჩინა კურდღელი,

ვინ რა უნდა მოგპაროსო, მაგრამ, რომ ვერ გადაათქმევინა, რა უნდა ექნა, მოზიდა წნელები.

კაცი ლობეს წნავს, თან ეცინება.

მთხრობელი: დაჯდა კაცი და დაიწყო ლობის დანა, ისე მჭიდროდ, რომ შიგ ჭიანჭველაც ვერ გაძვრებოდა.

კურდღელს დაღვრემილი სახე აქვს და წასასვლელად ემზადება.

კურდღელი: (თავისთვის) – დავრჩი მშიერი.

კაცი: – ერთი წუთით დამელოდე.

კაცი სახლში შედის და იქიდან კომბოსტოთი და სტაფილოთი სავსე ტომრებით გამოდის.

კაცი: – წაილე ეს სანოვაგე კარგი სამსახურისთვის და როცა გაგითავდეს, მოდი და კიდევ მოგცემ.

კურდღელი: მადლობა, კეთილო კაცო.

კურდღელი ის-ის იყო, ჭიშკარში უნდა გასულიყო, რომ კაცმა მიაძახა:


კაცი: – ისე, ნურც ჩიტებზე იდარდებ, საფრთხობელა ყოველდღე დაუყრის საკენკს ეზოში.

კაცი ეზოშია, იქვე ჩიტები საკენკს შეექცევიან, კურდღელი კი სტაფილოს ჭამს და იცინის.

მთხრობელი: ამ დღის მერე კაცი, კურდღელი და ჩიტები დამეგობრდნენ.

მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე





ანექდოტები



კახელს ჰკითხეს, - რა განათლება გაქვს მიღებული.
- სამჯერ ვარ გურიაში ნამყოფი.



გურულმა გახსნა სილამაზის სალონი და დაარქვა, - შემეიხედე, რას გაეხარ!..



გურულს ეკითხებიან, როიალზე დაკვრა თუ იციო?

გურული პასუხობს, - არ დამიკრია ჯერ, თუ არა, რავა არ ვიციო.



გურული ცოლს ეუბნება, - შენი ხასიათი ქე ვიცოდი, მარა რაც ჭიპზე პირსინგათ რგოლი დეიმაგრე, მთლათ ხელყუმბარას დეემსგავსე!



- რავა ხარ, გურულო?
- გურული არ ვარ მე, ინდიელი ვარ!
- როგორ ხარ, კაცო, ინდიელი?!
- ბიჯო, მშია, მწყურია, ფეხზე მე არ მაცვია და ტანზე, მარა ბელადი ქე მყავს, ინდიელი ვარ, აბა რა ჯანდაბა?!
- რავა ხარ, გურულო?
- გურული არ ვარ მე, ინდიელი ვარ!
- როგორ ხარ, კაცო, ინდიელი?!
- ბიჯო, მშია, მწყურია, ფეხზე მე არ მაცვია და ტანზე, მარა ბელადი ქე მყავს, ინდიელი ვარ, აბა რა ჯანდაბა?!
- რავა ხარ, გურულო?
- გურული არ ვარ მე, ინდიელი ვარ!



გურულმა ისეთი საფრთხობელა დადგა, ჩიტებმა შარშანდელი წაღებულიც უკან დააბრუნეს.



ორმა მთვრალმა კაცმა გურული ტაქსის მძღოლის გაშაყირება მოინდომა და მძღოლს ჰკითხეს, - ძმაო ნაგავს არ ნაიღებ. კი ბატონო დასხედით - უპასუხა ტაქსის მძღოლმა.



გურული ნერწყვს გადაყლაპავს და მოინამლებს...



გურული ექიმთანაა. ექიმი მხრებს იჩეჩავს:
- ვერაფრით ვერ გავიგე, რა გჭირთ?!
- მე რომ გითხრა, ფულს მაინც გადამასხდები, ძამა?!..



გურულ ქალს გველი უკბენს... 10 წუთის შემდეგ.
- რაცხა დაგემართა, შენ თავს დააბრალებ! - მიაძახა ქალმა გველს.



გურულმა ქალმა ტაქსი გააჩერა, - დაბრძანდით, ქალბატონო - უთხრა მძღოლმა.

- დასაჯდომად მცალია ახლა მე? - გუუბრაზდა მგზავრი.



გურული სიდედრს ასაფლავებს, სანამ კუბოს ჩაასვენებენ, ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი და დაუშინა სეტყვამ. ახედა გურულმა ცას და:
- მაქან ხარ უკვე ქალოოო???



გურული ბალანა გრიგოლეოში, პლაჟზე ზის. დამსვენებელი ეკითხება, - ზღვაში რატომ არ ჩადიხარ, ბიძიკო?

- რა მინდა ზღვაში?! ცურვა მე არ ვიცი და მოფსმით ჯერ არ მეფსმება!



გურულს მეგობარი ეკითხება:
- რას შობა შენი მეზობელი, სახლი რომ დეინყო, თუ დაამთავრა?
- გაჩერდი, ერთი, თუ ძმა ხარ! სახლი კი არა, მაი იმფერი ზარმაცია, მახათს ცოლი უყრის.



გურული ყვება, - აფრასიონას საფლავზე იმხელა ბალახი იყო ამოსული, საცოდავი სურათზე, ფეხის წვერებზე იდგა და ისე იყურებოდა.



ამონანერი გურულის დღიურიდან:

- ნავედი ტყეში, შემხვდა დათვი გამაუპატიურა...

მეორე დღე:

- ნავედი ტყეში, შემხვდა დათვი გამაუპატიურა...

მესამე დღე:

- ნეტა, რატომ მთხოვს გული ტყეში წასვლას?



ავტობუსის მძღოლი გურულია:
- ე, მაქანა გააჩერე! - ისმის ქალის ხმა.
- სა? - კითხულობს გაღიზიანებული მძღოლი.
- ე მაგერ, ქე რო კატა დგას....
- წინა თათებთან ქალბატონო თუ უკანა თათებთან....



ქორწილია... გურული პატარძალი ეუბნება ქმარს:
- სამი შვილი გვეყოლება.
- შენ რა იცი?
- სამივე დედაჩემთან მყავს დატიებული...



მეგრელებმა შემოუთვალეს გურულს, - მღერიხართ და არ იცით, რას ჩიოდა შავი შაშვი? გურულმა არ დააყოვნეს და შეუთვალეს მეგრელებს: აბდლები ხართ თქვენ, ბიძიკო, თავზე გახურავთ და ვერ ხდებით - ქუდია თუ ბოხობიო...



ოზურგეთის პატრული მძღოლს: მერსედესი, მაი ღვედი ილლიაში რო ამოგიდვია, რექსონა კი არაა, გეიკეთე წესიერად!



გურულების დიალოგი საკანში:
- აუჰ, მთელი ტანი მეფხანება!
- რამდენი გაქ მისჯილი?!
- შვიდი წელი!
- ჰოდა, რა გაქ მეტი საქმე? დაჯექი და იფხანე, ძამა!



- აი მწერლობა ნამეტანი გაფუჭდა!... ბრაზობს გურული.
- რაზე ჩივი? ეკითხება მეორე...
- რაზე ვჩივი და, ადრე წიგნს კითხულობდი და 250-ე გვერდამდე ქალი კაცს რავა აკოცნიებდა. ახლა დეინყებ კითხვას და მეხუთე გვერდზე აბორტზე მირბიან ერთად.



შეზარხოშებული ზურიე...
- ო ჩემო ნატალია! რომ შემეძლოს ახლა შეგჭამდი!..
- ჰო! შენ მარტო რამე ჩახეთქო! სხვაი აფერი!..

ბავშვების ქიზბურთი

შავლეთი ძველადონის ნაპირი

ISSN 2346-7606



9 772346 760009

